# საქართველოს ქალი

1986



# მრავალ ახალ წელს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნელი გაბრიჩიძე

დ. იაკობაშვილის ფოტ.

## გილოცავთ

უნდა გემთხვიო, მამულო, ლოცვით,
რადგან შენი ვარ სისხლით და ხორცით,
რადგან ჩემში ხარ ტაძრით თუ ბორცვით,
ყურძნით, კელაპტრით, ალუბლით, მოცვით.

ჩვილის ტირილით, პატარძლით მორცხვით,
სალამოობით ხოდაბუნთ მორწყვით,
ამაღელვებელ პირველი კოცნით
მოიავებულ ფიქრთა ფოლორცით.

ხომ ვარჯვედ სჭიდა მუხნარმა ფესვი,
უნდა დავლოცო, ვით არის წესი,
ხომ მოდგა კარზე უმამაცესი
ეს — 1986!

ის მოაქროლეს ფრთებით ხუნდებმა,
დახატულებმა ფერადი ცარცით,
გილოცავთ — ვარცლში ცომი ფუვდება
და ომის ურჩხულს გაუწყდა ქანცი.

გილოცავთ — ყველა თოჯინას კაბა
საკარნავალო ალმებად ვკიდეთ,
სიბრძნის მთესველი დგას სულხან-საბა,
რომ მარტოოდენ სიხარულს ვმკიდეთ.

თმობს ოკეანე დანალმულ კუნძულს,
საერისკაცოს გვანებებს ლაგამს,
და დედამიწა — რძით სავსე ძუძუ
მინებებია სიცოცხლის აკვანს.

გილოცავთ, ნატვრას ვგულისხმობ ქართულს,
ახალშობილთა იმ პირველ ფათურს,
ახალგაზრდობას — შენებით გართულს,
ყველა კერასთან — ჩონგურს და ფანდურს.

იყოს ფიფქების კორიანტელი,
იყოს კოცონთა გადაძახილი,
თვალი — ნათელი,
სული — ნათელი,
მკლავი — ტყუპების რწევით დაღლილი!

მზე — მოალერსე და მომთაბარე,
ვაზი — მოვლილი, გზა — სტუმრიანი,
შვილთაშვილებში ქალი თამარი,
წიგნი — ახალი თამარიანი.

უმშვენესი და უნარინჯესი
იყავ, მამულო, გიმრავლოს ნუში,
ეს... საახალწლო ბარათი-ლექსი,
გაღმერთებს ისე, ვით თუშეთს — თუში.

გილოცავთ! სუფრას არ აკლდეს ხემსიც,
ბედნიერების გვიმრავლოს ფესვი,
გილოცავთ! კეთილ სურვილთა მთესი
დგას 1986!

„საქართველოს ქალი".
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# ბავშვების სახელით

18023

37 ქვეყნის 5000-ზე მეტი ბავშვი აწერს ხელს 1985 წლის 19 ნოემბრისათვის ჟენევაში გაგზავნილ წერილს.

გთხოვთ, ჩვენი პლანეტის
იმ ბავშვთა სახელით,
ვისაც აქვს უფლება
დღე ჰქონდეს ნათელი,
ვისზეც არ ვრცელდება
სიკეთის კანონი,
არიან ბედშავნი
და უსახლკარონი,
და ვისაც ერგება
სითბოც და ალერსიც,
ადამის კანონით
ნამდვილ, უმაღლესით —
ამ ბარათს იმათი სახელით გწერთ,
ჰო, იმ პატარების სახელით გწერთ,
თქვენ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!
გპირდებით — პლანეტის
იმ ბავშვთა სახელით,
ვისაც აქვს უფლება,
დღე ჰქონდეს ნათელი...
ჩვენ, არგონავტები
იმ დიდი მომავლის, —
ხალხთა საოცნებო
მარადის რომ არის,
ჩვენ, ანთებულები
წყურვილით შენების,
მომავლის პოეტნი
და აღმომჩენები,

თუ წუთისოფელი
როგორმე დაგვაცლის,
არ განმეორდება
დრამა ნაგასაკის,
ვიძლევით პირობას,
უეჭველ პირობას,
თავი ვისახელოთ
შრომით და გმირობით!
ოცდამეერთე რომ მოდის საუკუნე,
ვინ უნდა აშენოს, თუ არა ჩვენ!
გვაშორეთ ომების შიში და უკუნი,
გთხოვთ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!
თორემ... იქ თავანი
ისე იქუფრება...
ნუ მისცემთ, პლანეტის
მოსპობის უფლებას...
ვერ ვუძლებთ ბირთვული
ომების მოლოდინს,
გვაშორეთ სიკვდილი,
ზეიმი ბოროტის!
ჩვენ გვინდა ვუცქერდეთ მშვენიერ
ვარსკვლავეთს,
უნისლო მთვარეს და
ბრდღვიალა მზეს!
უღრუბლო ბავშვობის გზები
მიგვასწავლეთ,
გთხოვთ, ძია გორბაჩოვ,
რეიგან სერ!

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

უფრო დიდ მოთხოვნებს წავუყენებთ ქალაქისა და სოფლის დასახლებათა არქიტექტურას, ესთეტიკურ გაფორმებასა და კეთილმოწყობას. ისინი უნდა წარმოადგენდნენ საწარმოო ზონების, საცხოვრებელი რაიონების, საზოგადოებრივ, კულტურულ და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებათა, სპორტულ ნაგებობათა, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო საწარმოთა, ტრანსპორტის რაციონალურ კომპლექსურ ორგანიზაციას, რაც უზრუნველყოფს ადამიანთა შრომის, ყოფისა და დასვენების საუკეთესო პირობებს.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან.**

# წყალი მოვიდა



ხელოვნური ზღვა



საცხოვრებელი სახლები

დ. იაკობაშვილის ფოტოები

ჟინვალჰესის მშენებლობა დამთავრდა. — 130 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ოთხივე ენერგოაგრეგატი დაიწყებს დენის გამომუშავებას და ერთბაშად რამდენიმე პრობლემა გადაიჭრება: მოირწყვება 60 ათასამდე ჰექტარი გვალვიანი მიწა, სტაბილური გახდება მთისწინა რეგიონების ელექტრომომარაგება, და რაც მთავარია, მოგვარდება თბილისის სტაბილური წყალმომარაგება — დედაქალაქი 42 კილომეტრიანი მაგისტრალური წყალსატარით ყოველ წამში 15 კუბურ მეტრზე მეტ წყალს მიიღებს, — განაცხადა კვანძის მშენებლობის უფროსმა ავთანდილ ჩალაძემ.

თბილისს წყალი უჭირს. გამრავლდა ხალხი ქალაქში, ამაღლდა სახლები — რვა, თორმეტი, თექვსმეტსართულიანები. ბუნებრივი რესურსები კი ილევა, წყალი თბილისის პრობლემაა, პრობლემაა იგი მსოფლიოში.

წლევანდელი ახალი წლიდან თბილისი არაგვის წყალს მიიღებს. ორი არაგვი შეერთდა — შავი და თეთრი. ვეებერთელა წყალსაცავი — ზღვა გაჩნდა იქ, სადაც წინათ სოფელი ჟინვალი სახლობდა.

რამდენიმე წლის წინათ აიყარა სოფელი. იგი ღარიბი იყო, ზოგან მიწურებიანიც. მაგრამ მამა-პაპური ჰქვიოდა, წინაპართა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა ჟინვალელები



აფთიაქის გამგე ირმა მარხაშვილი



კულტურის სახლის ვესტიბიული

სისხლდაქცეული და დანატოვარი და ამატომაც გაუჭირდათ დათმობა. გაუჭირდა ერთ ჟინვალელსაც და თავის კარმიდამოში მსხმოიარე ხეებს ჩეხვა დაუწყო. შემოდგომა იდგა, ქლიავით და ვაშლით დახუნძლულიყო ხეები. მოხუცი მათ მიდგომოდა, და ცულით ძირში ჭრიდა თითოეულს, თითქოს გოდებსო, ისე ამბობდა: ჩემი შვილები არიან და რასაც მინდა, იმას ვიზამო.

ახლა ეს ბერიკაცი ახალ ჟინვალში ცხოვრობს, მთავრობისაგან უფასოდ ბოძებულ ორსართულიან, კომფორტულ ბინაში, რომელსაც დიდი ეზო-კარმიდამო აკრავს და მიწის ყველა სიკეთე მსხმოიარობს და ხარობს. რას იფიქრებდა ადრე, რომ ასე იცხოვრებდა — ქალაქურად, გათბობითა და გაზით გამართულ სახლში. არა და, ასე ცხოვრობს ყველა ძველი ჟინვალელი, რომელთა ნასახლარები დაგუბებული ხელოვნური ზღვის ფსკერზე დარჩა. ვინც მოისურვა მრავალსართულიან სახლში შესახლდა და ნამდვილ ქალაქურ ყაიდაზე მოეწყო. ზოგი მშენებელი მუშა გახდა, ზოგი კი სოფელ არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის წევრი.

დაბა ჟინვალი ორად არის გაყოფილი. ერთი გაღმაა, სოფელ ჩინთის მახლობლად, მეორე კი მაღლა — სოფელ არანისთან. დაბა ჰქვია, თორემ ქალაქს ჰგავს. ასეთი კულტურის სახლი დიდ ქალაქშიაც ძნელად მოიძებნება. გარედანაც და შიგნიდანაც თვალწარმტაცია და ისე კარგად ჩაუფიქრებიათ და აუგიათ, რომ შიგ შესულს გამოსვლა აღარ მოგინდება. სახლის დირექტორი ომარ გორელიშვილი საინტერესოდ მუშაობს. (მისი საქმიანობა ცალკე შესწავლისა და დაწერის ღირსია). ჟინვალს ამშვენებს ყველაფერი თანამედროვე: კაფე-ბარი, ორი საბავშვო ბაღი, საშუალო სკოლა, მუსიკალური სკოლა, აფთიაქი, საავადმყოფო, უნივერმაღი, სასურსათო მაღაზიები, ფურნე, აბანო, ბაზარი.

ჟინვალის პური ისეთი გემრიელია, დუშეთიდან ამოდიან მის საყიდლად. მთელი კვირა რომ შეინახო, არც ხმება და არც ობდება. ბაზარი თავს იწონებს აქაური მიწის ნაყოფით, არის საამო სურნელება, ჟინვალური მოპატიჟება და მორთმევა.

აქ ყველაფერი ადამიანებისათვისაა, მათთვის, ვინაც ჰესი ააშენა და საქართველოს მშენებლობის ისტორიაში ადგილი დაიკავა, ვინაც ადრე კოლმეურნე იყო და მუშად იქცა, ვინც გააგრძელებს შენებას და ამ თავის ნაგებ ჟინვალს ვერ მიატოვებს.

ყველაფერი მაცაბერიძეებისათვის არის, ბერძულებისათვის, ლომაშვილებისათვის, მანგოშვილებისათვის, ბუჩუკურებისათვის და მათთვის, ვისაც ჟინვალელი ჰქვია.

**ლია ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავჭალის გზატკეცილზე



სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ვკითხულობთ, რომ საჭიროა ახალი სტრუქტურის აბრეშუმის ქსოვილების წარმოება გავზარდოთ 2-ჯერ, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ქსოვილების მხატვრული გაფორმება.

დღემდე ვერავინ ჩასწვდა ბოლომდე მოდის ჭირვეულობისა და ცვალებადობის საიდუმლოს. ერთი კია; რომელ დროშიც უნდა ეცხოვრა ადამიანს, მუდამ „იწვოდა" სურვილით — არ ჩამორჩენოდა მოდას.

დღეს მით უფრო!

გამოუშვა ისეთი პროდუქცია, რომ მომხმარებელი კმაყოფილი გყავდეს, არც ისე იოლია. დღევანდელი მომხმარებელი ძალიან პრეტენზიულია (და ეს მის გემოვნებაზე მეტყველებს) განურჩევლად როდი იძენს ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდება.

მაინც რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე მომხმარებელი მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს?

უპირველესად, ნაწარმის მოდურობას, თანამედროვეობას, ინდივიდუალობას, სილამაზეს, პრაქტიკულობას, შესრულების მაღალ ხარისხს.

და თუ პროდუქცია აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მაშინ რაც უნდა ძვირი იყოს იგი, თუ სრულყოფილად არის შესრულებული, სწრაფად საღდება.

წარმოებაში სიახლის დანერგვის შემდეგ დგება მისი მაღალხარისხოვანი ათვისების აუცილებლობა, რისთვისაც საჭიროა სანიმუშო შრომითი და საწარმოო დისციპლინა, პასუხისმგებლობა, კადრების კვალიფიკაცია და პირადი კულტურა.

აი, ეს საკითხები გვაინტერესებდა, როცა თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების (გენერალური დირექტორი ზ. იოსელიანი) სათაო ფაბრიკაში მივედით.

რატომ მაინცდამაინც ამ ფაბრიკაში? ჯერ ერთი იმიტომ, რომ აბრეშუმის ქსოვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ყოფაცხოვრებაში და, მეორეც, ამ საწარმოს მესვეურნი მალე ახალსახლობას იზეიმებენ, რაც სასიკეთო ხელს დაატყობს ნაწარმის ხარისხს.

ავჭალის გზატკეცილზე, საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების ფილიალის, ჟაკარდული საქსოვი ფაბრიკის ტერიტორიის რეკონსტრუქციის ბაზაზე აშენდა საწარმოს ახალი კორპუსი. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებული იყო მხოლოდ პირველი რიგის, სამღებრო-გამომყვანი წარმოების მშენებლობა. მეთორმეტე ხუთწლედში კი უნდა დამთავრდეს მეორე რიგის, საქსოვი წარმოების მშენებლობა.

ამჟამად მიმდინარეობს საწარმოს აღჭურვა სამამულო და იმპორტული მარკის მანქანა-დანადგარებით, რომელთა დამონტაჟებაში ჩვენს თანამემამულეებთან ერთად მონაწილეობენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის ფირმების წარმომადგენლები (ჰოლანდიიდან, იაპონიიდან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან).

ცხადია, ახალი ტექნიკა და ტექნოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გია საგრძნობლად გაზრდის წარმოების სიმძლავრეს, შრომის ნაყოფიერებას და, რაც მთავარია, გააუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს (რაც ამ საწარმოსთვის საჭირბოროტო პრობლემაა).

ამიტომაც, ახლა მთავარია დამონტაჟების ხარისხი და შემდეგ — სწორი ექსპლოატაცია. ამან კი, საწარმო ახალი პრობლემის წინაშე დააყენა. მას ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის მუშები, რადგან ამ უნიკალურ და მაღალმწარმოებლურ მანქანა-დანადგარებზე ყველა პროცესი ავტომატიზებულია.

განსაკუთრებული გულისყურით მოეწყო სამუშაო ადგილები, გასახდელი, საშხაპო, დასვენებისა და ჰიგიენის ოთახი, რაც ბევრად გააუმჯობესებს მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ასევე, თუ ძველი შენობა ვენტილაციის საშუალებას არ იძლევა და საამქროებში ზაფხულობით აუტანელი სიცხე და სინესტეა, ახალ კორპუსში მძლავრი კონდიციონერები უმტკივნეულოდ მოაგვარებს ამ საქმეს.

ამავე ტერიტორიაზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისათვის აგებულია რვასართულიანი ადმინისტრაციული შენობა კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, ასორტიმენტისა და კონფერენციის დარბაზით, მხატვარ-დესინატორთა სამუშაო ოთახებით.

— შენს ნაწარმს რომ ბევრი მადლიერი მომხმარებელი ჰყავს, ამას რა სჯობს, — ამბობს გაერთიანების უფროსი დესინატორი ელიკო სეფიაშვილი. — ამიტომაც, ჩვენი ძირითადი საზრუნავი, უპირველესად, ახალი, თანამედროვე ქსოვილების შექმნაა, შემდეგ კი მისი მაღალხარისხოვნად მოქსოვა და გამოშვება. ახალი სამღებრო-გამომყვანი წარმოების გაშვებით საშუალება გვექნება უფრო გაბედულად დავნერგოთ თანამედროვე, სხვადასხვა სახის ხელოვნური თუ სინთეზური ნედლეული. შეიქმნება ქსოვილთა გაფორმების მრავალი შესაძლებლობა, მაგრამ ამასთანავე, კარგი იქნება, თუ ახალ კორპუსში გამოიძებნება ადგილი საცდელ-საწარმოო უბნისათვის, ან საქსოვი ლაბორატორიისათვის, სადაც დამონტაჟდება ყველა სისტემის საქსოვი დაზგა. ეს კი მეტ საშუალებას მოგვცემს მხატვარ-დესინატორებს შევქმნათ ქსოვილთა ახალი და სრულყოფილი სტრუქტურები.

გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარეს ნანული სოხაძეს სხვა საზრუნავთან ერთად ახალიც ბლომად გასჩენია.

— ახალი საწარმოს შენობის ტერიტორიული მდებარეობა ბევრ კადრის მუშას ჩამოგვაცილებს, ახალთა მიზიდვისათვის კი საცხოვრებელი ბინის მშენებლობა მოგვიხდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობა ქალია... ბაგა-ბაღიც დაგვჭირდება.

უპრობლემებოდ ვინა სთქვა საწარმოს ცხოვრება! მაგრამ მთავარი მაინც საქმის ერთგულება და სიყვარულია.

ეს ერთგულება და სიყვარულია, კაცს შეუძლებელს რომ შეაძლებინებს...

მეაბრეშუმეებს სწორი გეზი აუღიათ და იმედია მათს პროდუქციას მადლიერი მომხმარებელი არ მოაკლდება.

რუსუდან ლორთქიფანიძე

# წაუკითხეთ ბავშვებს



## პატარა მეურმე

ხარებისთვის შეუბამთ
ყელზე აპეურები,
არხეინად შარაზე
მოჭრიალებს ურემი.
წინ ყმაწვილი მიუძღვის,
საამური თვალადა,
აუვსია მოსავლით
გიდელი და კალათა.

მღერის: მზეო მზიანო,
ჩაესვენე გვიანო,
ვიდრე ნიშა ხარები
მუხლებს ჩაიხრიანო.
მერე შენც დაიძინე
დასვენება მადლია,
ხვალ რამდენი საქმე გვაქვს
ავდგეთ დილაადრიან!

## ნანა

ნანა, შვილო, გულის ჩინო,
თვალზე რული დაგფენია,
სიო გიმღერს მათრობელა,
სურნელს გაფრქვევს ია-ია,
დაგჩურჩულებს რტო ატმისა,
აკვანს გირწევს სხივი მზისა!
ეს ცხოვრება ლამაზია,
თვალწარმტაცი უფრო მინდა,
ხედავ, ჩიტი ზაქარია

ვაზის რქიდან წამოფრინდა.
გაადევნე შვილო თვალი,
ნისკარტი აქვს თაფლით სავსე,
ღვინჭილები ღვინჭილებენ,
შენს მშვენიერ აკვნის თავზე.
დაიძინე ნანი ნანა,
ქვეყნად ვინ მყავს შენისთანა,
ნანა...
ნანა.

ლია ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



სატრიკოტაჟო-სპორტნაწარმის ფაბრიკა „დინამოს" მუშა ქეთევან ნოზაძე



რუსთავის სახლმშენებელი კომბინატ № 6-ის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ციური ლომსაძე და საკედლე პანელების მუშა ნანული წიკლაური



თბილისის საშენ მასალათა კომბინატის პლასტმასის ნაკეთობათა საამქროს ინჟინერ-ტექნოლოგი თინა ჭებაშვილი



პატარძეულის სამეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობის მექანიზატორები დები თამარ და ლალი მეხაშიშვილები

# ტალია, ქვეყნის თვალია

თბილისის ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი განსაკუთრებით ავტორიტეტულია. მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატები თავიანთ წლიურ კალენდარს მის მიხედვით ადგენენ. რახან ჩვენთან თამაში ძალიან პრესტიჟულად ითვლება, ისინი, ვისაც თბილისში არ იწვევენ, ცოტა არ იყოს, გულნატკენნი რჩებიან. თბილისის ტურნირს მთელი მსოფლიოს საჭადრაკო (და არა მარტო საჭადრაკო!) პრესა ფართოდ აშუქებს. ერთი რამ საყურადღებოც: როცა რომელიმე ქვეყანაში ქალთა რომელიმე დიდი ასპარეზობის მოწყობას აპირებენ, ცდილობენ იგი თბილისის ტურნირს არ დაამთხვიონ. წლეულს სწორედ ასე მოიქცნენ სმედერევსკა-პალანკის (იუგოსლავია) დიდი საჭადრაკო პაექრობის ორგანიზატორები, რომლებმაც თავიანთი შეჯიბრება ოქტომბრიდან ნოემბერში გადაიტანეს.



ცნობილია ის ფაქტიც, რომ რომელიმე ერთ შეჯიბრებაში ყველა გამოჩენილი დიდოსტატის თავმოყრა არ ხერხდება ხოლმე. თბილისის შარშანდელი (სუპერტურნირი ამ მხრივ გამონაკლისი იყო: ბრძოლაში ჩაებნენ მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, პია კრამლინგი, ელენე ახმილოვსკაია, ნანა იოსელიანი. ეს ტურნირი ჭადრაკის ისტორიაში შევიდა, როგორც უძლიერესი შეჯიბრება.

როცა თბილისის მორიგი, წლევანდელი ასპარეზობა იწყებოდა, ცნობილი გახდა, რომ მასში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელიც ესპანეთში გაემგზავრა „საჭადრაკო ოსკარის" მისაღებად, ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ბულგარეთში ვეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა, ნანა ალექსანდრია, იმავე ესპანეთში, ჩინებულად რომ ითამაშა. სამაგიეროდ, ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიოს №2 მოჭადრაკე ქალი ირინე ლევიტინა, ელენე ახმილოვსკაია, ნანა იოსელიანი, უნგრელი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი, განთქმული იუგოსლაველი ვეტერანი მილუნკა ლაზარევიჩი, ნინო გურიელი... და, მაინც არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირის ავტორიტეტი მათ კი არა, 17 წლის ქეთინო არახამიამ იხსნა!

სწორედ ქეთინოს ორიგინალურმა, მწვავე თამაშმა მოიყვანა ჭადრაკის სასახლეში დიდძალი მაყურებელი. ქეთინო ის მოჭადრაკეა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ფიქრობს ყაიმზე. მას ურჩევნია დიდი რისკით მეტოქეს აქტიური თამაშის საშუალება მისცეს, ოღონდ კი ბრძოლა გართულდეს. ამ რთულ ბრძოლაში არახამიას, შეიძლება ითქვას, სრული საფუძვლით, თავისი ტაქტიკური ნიჭის იმედი აქვს. დიახ, იგი რისკით იმარჯვებს კიდეც. საჭადრაკო ქალმერთს, კაისას უყვარს თამამნი და გაბედულნი. წლეულს ზაფხულში, ვარშავაში საშუალო სიძლიერის საერთაშორისო ტურნირში ქეთინო მეორე ადგილზე გამოვიდა ირინე ჩელუშკინას შემდეგ. ამ წარმატებამ მას საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალი მოუტანა. ახლა, თბილისში არახამია მეორე ბალის მოგროვებას უნდა ცდილიყო, მაგრამ ეს არ გახლდათ იოლი ამოცანა — თბილისის ტურნირი ვარშავისას ხომ მკვეთრად აღემატებოდა!

საერთაშორისო ოსტატის ბალის ნორმა ჯერ 6,5 ქულა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნინო გურიელმა ავადმყოფობის გამო ტურნირი დასტოვა, 6 ქულა გახდა.

მეხუთე ტურში ქეთინოს მეტად სერიოზული გამომცდელი — ნანა იოსელიანი შეხვდა. ნანა, მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი დიდოსტატი, თეთრებით თამაშობდა. კარგა ხანს მას უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გასტეხა ნორჩი ოსტატის წინააღმდეგობა. სახტიც ორმხრივ ცაიტნოტს ქეთინო მეტოქეზე უფრო მშვიდად შეხვდა, გამოიყენა თეთრების შეცდომა და გაიმარჯვა.

გავიდა ხულ ორი ტური. ქეთინო (ცვლავ შავებით!) განთქმულ ლენინგრადელ დიდოსტატ ირინე ლევიტინას შეხვდა. ისტორია ზოგჯერ მეორდება ხოლმე! ძველი რომაელები ამბობდნენ: „როცა ორნი ერთ საქმეს აკეთებენ, არ ნიშნავს, რომ ერთნაირად გააკეთებენ!" ორივე მოჭადრაკე ინიციატივის დაუფლებას ცდილობდა. თითქოს ლევიტინას უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდა, მაგრამ პირდაპირი იერიში არ გამოუვიდა. სამაგიეროდ მალე ეს ძალიან კარგად შეძლო ქეთინო არახამიამ და თავის მრისხანე მეტოქეს პირველი, როგორც ტურნირის ბოლოს გამოირკვა, ერთადერთი დამარცხება აგემა. ეს მართლაც სახახელო მოგება იყო. ქეთინომ საჭირო ექვსი ქულის ნაცვლად 9 მოაგროვა და პირველი პრიზიც დაისაკუთრა! ახლა მას ფიდეს კონგრესმა საერთაშორისო ოსტატის წოდება უნდა მიანიჭოს. ხომ ძალზე დიდი მიღწევები აქვთ ქართველ მოჭადრაკე ქალებს! ქეთინოს პირველი ადგილი ერთერთი უთვალსაჩინოესი მიღწევაა!

თბილისის საერთაშორისო ტურნირში კიდევ ორ გოგონას ჰქონდა დებიუტი: 16 წლის ჰენრიეტა ლაგვილავასა და 14 წლის ქეთინო კახიანს. აი საოცრება! ორივე მათგანს მთელი შეჯიბრების მანძილზე ისე ეჭირა თავი, თითქოს მრავალ ტურნირში უთამაშიათო. ლაგვილავამ შესანიშნავად მოუგო ლაზარევიჩს, თუმცა იგი დაბადებულიც არ იყო, როცა იუგოსლაველი დიდოსტატის სახელი მთელ საჭადრაკო სამყაროში ქუხდა! კახიანმა მართლაც რომ ოსტატურად მოუგო ჩელუშკინას და როცა ძალიან დასჭირდა, თვით ლევიტინასაც კი გაუმკლავდა. ამ ტურნირის შედეგად ორივე გოგონას ფიდეს ოსტატის წოდება მიენიჭება. ეს კი ეროვნულ ოსტატზე მეტი გახლავთ.

მაშ ასე, ჩვენს სახელოვან დიდოსტატებს არახამიამ, ლაგვილავამ და კახიანმა ტოლი არ დაუდეს. ეს დიდი იმედისმომცემი ფაქტი გახლავთ.

1986 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ თავისი წოდება უნდა დაიცვას. ჩვენ დღეს არ ვიცით, ვინ იქნება პრეტენდენტი, მაგრამ გამოვთქვამთ რწმენას, რომ ამჟამად ბრწყინვალედ მოთამაშე მაია თავის წოდებას კიდევ ერთხელ, 1988 წლამდე შეინარჩუნებს. 1986 წელსვე იწყება ამ არცთუ შორეული დროისათვის პრეტენდენტის შერჩევა — ჩვეულებრივი, ზონალური, საზონათშორისო, იგივე პრეტენდენტთა ტურნირები. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრამდე ჯერ დიდი გზაა გასავლელი, მაგრამ არ ვკარგავთ იმედს, რომ მას წარმატებით სწორედ რომელიმე ქართველი გოგონა გაივლის.

ბივი ბამრეკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია წემიროვა

# მზიური ყვავილები

დოკუმენტური მოთხრობა



მხატვარი ლია სვანიძე

აპრილის ერთ მშვიდ დღეს, როცა კაცს ყველაფერი ახლადგამოღვიძებული ბავშვის ლოყასავით უბიწო, კეთილი და მშვენიერი გეჩვენება, თბილისის ერთ ლამაზ სკვერში ვიჯექი.

ბავშვები დახტოდნენ, მხიარულობდნენ, ყიჟინით იკლებდნენ იქაურობას, შეჰხაროდნენ გაზაფხულს. სივრცეს ჰკვეთდა მათი სიცილი, მათი წკრიალა ბავშვური სიმღერა. ჰაერი ისეთი სუფთა და გამჭვირვალე იყო, ბავშვთა არეული ხმების სიმფონია ისეთი მხიარულებით აღსავსე გახლდათ, რომ არ შეიძლება ამ დროს ადამიანს ნაღვლიანი ფიქრები გწვეოდა, უსიამოვნო, შემაშფოთებელი მოგონებები აღგძვროდა.

სკამძელზე, ჩემს გვერდით, ასე ორმოცი წლის ნაზი, სუსტი ქალი იჯდა, რომელსაც ისეთი დიდრონი ცისფერი თვალები ჰქონდა, რომ იტყოდი, ეს ქალი სულ თვალებად ქცეულაო. გაზაფხულის ამ ნათელ დღეს ცის ლაჟვარდივით ლურჯი კაბა მას ისე უხდებოდა, რომ ყველანი, — ისინიც კი, ვისაც ეჩქარებოდა, ნაბიჯს ანელებდნენ და თავს მისკენ იბრუნებდნენ.

წამდაუწუმ თავისი ოთხი წლის გოგონასკენ რომ არ გაეხედა, ალბათ იტყოდით, უდარდელი ქალიაო. მისი მზერა უხილავ ძაფსა ჰგავდა, რომელიც დედასა და იქვე ახლოს მოთამაშე ბავშვს შორის გაბმულიყო. ცისფერთვალება გოგონასაც ლურჯი კაბა ეცვა, რომელზეც ფაქიზად ჰქონდა მიკერებული ლამაზი წინსაფარი. გეგონებოდათ თავისი დედის პატარა მოდელიაო.

სხვადასხვა ფერის პლასტმასის ყალიბებით გოგონას სილისგან საგულდაგულოდ გამოჰყავდა სხვადასხვანაირი ნამცხვარი და თან იძახდა:

— ეს მარწყვისაა, ეს შოკოლადისა, ეს ნაღებისა... ამას კი, პატარა სათამაშო ნიჩბით შეალამაზა ყველაზე უკეთესი ფიგურა, — არასოდეს, არასოდეს შევჭამ. ამას მე თინა ბებიას შევუნახავ.

შევხედე ბავშვს და მომეჩვენა, რომ სადღაც მენახა სწორედ ასეთი მსხვილთვალება გოგონა, თავისი პატარა კბილებით წამდაუწუმ რომ იკვნეტდა ქვედა ტუჩს. ჩემს გვერდით მჯდომი ქალიც რაღაცით იქცევდა ყურადღებას. მარტო იმით კი არა, რომ ახალგაზრდა იყო რაღაც სხვა რამითაც მეცნობოდა.



მე ძალას ვატანდი მეხსიერებას.

უცებ მის წინსაფარზე რაღაც ნაქარგი დავინახე. ეს უჩვეულო რამ იყო — მზე ამოექარგათ აბრეშუმით. მზის ოქროსფერი სხივების ქვეშ ყვავილები იყო ამოქარგული. ახალი, სურნელოვანი ყვავილები გეგონებოდათ.

ქალისთვის არ დამიმალავს, რომ სადღაც მენახა ასეთი, დიახ, სწორედ ასეთი ნაქარგები.

გაოცებულმა ქალმა ცისფერი თვალები შემომანათა და მოულოდნელად გამომეპასუხა:

— მეხსიერება ზოგჯერ ატყუებს კაცს. ეს წინსაფარი სულ ცოტა ხანია, რაც შევიკერე და დღეს პირველად მაცვია, ასეთ ნაქარგს კი სხვაგან ვერსად დაინახავდით. მერე ჩაფიქრდა და ამაყად დაუმატა: — ეს კი საგანგებოდ ჩემთვის ამოქარგეს. დიდი ხანია მას შემდეგ, თითქმის ორმოცი წელიწადიც იქნება.

ქალს ნაღვლიანად უბრწყინავდა თვალები. ამ ბრწყინვამ ჩემს ხსოვნაში რაღაც იდუმალებით მოცული რამ ამოატივტივა.

— მაშ თქვენ... — დარწმუნებით ვუთხარი მე და ხელი მოვკიდე მის მოკაკვულ, ოდესღაც ნეკმოტეხილ ხელს, — მაშ თქვენ ნატაშა გქვიათ, ხომ? და ასე... ორმოცი წლისა იქნებით, არა?

და მე მსხვილთვალება, გამხდარი გოგონა მომაგონდა, წვრილი კბილებით წამდაუწუმ ნერვულად რომ იკვნეტდა ქვედა ტუჩს.

1944 წლის გაზაფხული იდგა. ქალაქის გარეუბნის საბავშვო სახლში, სადაც მე ექიმად ვმუშაობდი, ბავშვები იმ ადგილებიდან ჩამოიყვანეს, რომლებიც ის-ის იყო გაათავისუფლეს ჩვენმა ჯარებმა ფაშისტ დამპყრობთაგან. გზებზე მოკრეფილი, მოკლული დედების მკერდებიდან აგლეჯილი ეს ბავშვები ჩრდილებსა ჰგავდნენ. ისინი ძლივს დალასლასებდნენ და თავის მაღლა აწევის შნოც აღარ ჰქონდათ. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. გეგონებოდათ, მათს ბაგეს ღიმილი აღარასოდეს გამოუკრთებაო.

ბავშვებს მარტო სიარულის, ლაპარაკის ან დახველებისა კი არა, დაძინებისაც კი ეშინოდათ. მათს თვალებში ცრემლი სულ ამომშრალი იყო.

ამ ბავშვთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მაშინ „რთულ

სვეტლანა მაგიდსონი

# მუსიკა — პოეზია — ფერწერა

პიანისტ ლალი მიქავას საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობდნენ მუსიკის მოყვარულნი, როცა მან ახალი საესტრადო ფორმების ძიება დაიწყო.

კომპოზიტორ ფერენც ლისტის პროგრამაზე რომ მუშაობდა, პიანისტმა მისი დღიურები გადაათვალიერა და დიდი კომპოზიტორის ასეთ გამონათქვამზე შეაჩერა ყურადღება: „ყველა გენიალური მუსიკა ერთმანეთს ენათესავება, მაგრამ ეს სიახლოვე ფარულია. რაფაელი მოცარტის გაგებაში დამეხმარა, მიქელ-ანჯელო კი — ბეთჰოვენის შეცნობაში". ასევე დაეხმარა ფერენც ლისტი ლალი მიქავას, რათა მას სცოდნოდა, რომ ერთ საესტრადო კონცერტში შეიძლება ხელოვნების სამი სახე იყოს შერწყმული — მუსიკა, პოეზია და მხატვრობა.



სიტყვა მელოდიას შეერწყმის, მელოდია აღრმავებს, გამომსახველობას მატებს პოეტურ სიტყვას და ყველაფერ ამას, ერთად აღებულს, ჩვენ სინქრონულად ვხედავთ. ეკრანზეა მხატვრული ტილოები, საქართველოს არქიტექტურის ძეგლები, წინანდლის ხედები, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის სურათები.

ამ ახალი ჟანრის საიდუმლო ის არის, რომ ფერწერა აჟღერებულია, მუსიკა — ხილული.

ჩვენ არ ვკარგავთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს ტრადიციას, მათ შორის, ხელოვნების ტრადიციას. მაგრამ ჩვენ ახალ აღმოჩენებსაც

პალ ზომოდი

## იუმორი

# დასვენება ზამთარში

ერთ ზაფხულს. მოუცლელობის გამო. დასასვენებლად ვერ წავედი და ზამთრის დადგომისთანავე ისეთი დაღლილი სახე მქონდა, რომ ნაცნობ-მეგობრები ერთხმად მირჩევდნენ საქმეები გადამედო და ორი კვირა მაინც დამესვენა. უძილობისგან თვალები ისე მქონდა ჩალურჯებული, თითქოს ვინმეს უცემიაო.

— არ იფიქრო შენი შეშინება გვინდოდეს, მაგრამ ძალზე ცუდად გამოიყურები! ზამთრის აგარაკი არაფრით ჩამოუვარდება ზაფხულისას, პირიქით, ჯანმრთელობისთვის ბევრად უკეთესიც არის. — ჩამჩიჩინებდნენ მეგობრები.

ბოლოს ყურად ვიღე მათი გონივრული რჩევა და ორი კვირით გავემგზავრე დასასვენებელ სახლში.

ორსაწოლიან ოთახში მომათავსეს ექიმ სოტოლაისთან ერთად, რომელიც პირველი დანახვისთანავე ძალიან მომეწონა, მეტად სიმპათიური კაცი აღმოჩნდა. სადილობისას და შემდეგ მუსიკის მოსმენისას კიდევ უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ძილის წინ გავიფიქრე, ბედი მქონია, რა კარგი ადამიანი შემხვდა-მეთქი. ის დარცხვენით გამომიტყდა, საშინელი ხვრინვა ვიცი და მითხრა, თუ დაძინების საშუალებას არ მოგცემ, მაშინვე გამაღვიძეო.

ამას დიდად არ შევუშფოთებივარ, რადგანაც დასასვენებელ სახლში მსგავსი რამ ხშირად ხდება, მაგრამ ჩემმა მეზობელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ისეთი ხმით ხვრინავდა, იფიქრებდით ყელში საყვირი აქვს ჩადგმულიო. რამდენჯერმე გავაღვიძე, მაგრამ ისე დამნაშავე ბავშვივით მიყურებდა და ბოდიშს იხდიდა, რომ ვეღარაფერს ვეუბნებოდი. მთელი ღამე არ დამაძინა. მეორე დღეს სულ გამირბოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახდენთ, ჩვენს სულში სიახლისა და ძიების სურვილი ცოცხლობს. აი რატომ არის, რომ მუდამ სიხარულით მივესალმებით რუსეთ-საქართაველოს კულტურული მემკვიდრეობა მსმენელისა და მაყურებლის წინაშე საკუთარ, ღვიძლ ხელოვნებასთან სინთეზის სახით რომ წარსდგება ხოლმე.

და ლალი მიქავასთვის ყველაფერი თითქმის ათი წლის წინათ რერიხითა და ჩიურლიონისით დაიწყო. დიდი მხატვრის ტილოები რახმანინოვის, სკრიაბინის, სტრავინსკის მუსიკას შეხამებით, ჩიურლიონისი კი — ესტრადაზე მხატვრად და მუსიკოსად იყო წარმოდგენილი.

ლალი მიქავას შემოქმედებითს ძიებას მხარი დაუჭირა საქართველოს და რუსეთის საზოგადოებრიობამ. მას ეხმარებოდნენ პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები, მსახიობები, საქართველოს სამუსიკო და ქორეოგრაფიული საზოგადოება.

შთაგონებულმა ლალი მიქავამ უკვე ოცდახუთი პროგრამა შექმნა. და ეს ცოტა როდია!

და აი, დადგა 1984 წლის შემოდგომა. თბილისელმა მაყურებელმა ლალი მიქავას შესრულებით საქართველოს დღევანდელი დღისა და შორეული წარსულის გადაძახება მოისმინა.

ორი პოეტური ვულკანი — ტიციან ტაბიძე და ელიშე ჩარენცი მარად ცოცხლობენ ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და სომხების გულებში. ისინი მოძმენი არიან. თუ ნამდვილ ვულკანებს ცეცხლი და ნგრევა მოაქვთ, პოეტი-ვულკანები სიკეთეს თესავენ. ისინი მკითხველის გრძნობათა და აზრთა სიღრმეში აღწევენ. ჩემთვისაც და ყველა ჩემი თანამედროვისთვისაც ამ ორი პოეტის — ტიციან ტაბიძისა და ელიშე ჩარენცის სახელი და გვარი სიმბოლურად ერწყმის ერთმანეთს. ორი პოეტის ლექსთა სულიერი ნათესაობა, მათი გადაძახება ლალი მიქავამ სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის 50-ე წლისთავს მიუძღვნა. საზეიმოდ ჟღერს მათი ლექსები მხატვრული კითხვის ოსტატის გერასიმე ლისიციანის შესრულებით. კონცერტის პირველ განყოფილებაში ქართული ხალხური სიმღერა თითქოს სომხურად გარდაიქმნება.

მეორე განყოფილება ა. ს. გრიბოედოვს ეძღვნება — იმას, ვისი ნათელიც უხვად შეემატა საქართველოს ისტორიას და კულტურას.

ნინო ჭავჭავაძის სახე მსოფლიოს სახელოვან ქალთა გალერეის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეა. ჩვენ ვიცით სასიქადულო ქალები — ბიჩერ სტოუ, ჟორჟ სანდი, ავდოტია პანაევა, კაროლინა პავლოვა, ვერა ფიგნერი, ლარისა რეისნერი...

მათ შორის ნინო ჭავჭავაძე დიდებულად ბრწყინავს და ელვარებს.

ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის სიყვარული ლეგენდად იქცა. მსოფლიოში ცნობილ სიყვარულის ამბავთა ფონზე ნინოს სახე, მისი სიყვარული და ერთგულება, სამაგალითოა დღევანდელი ახალგაზრდობისათვის, ეს ადამიანობისა და ერთგულების მწვერვალია.

ჩვენ იდეალი გვინდა, დღეს ჩვენი ახალგაზრდობა მას ეძებს და ესწრაფვის.

ლადო ბახტრიონელის რომანის „სიყვარულისა და უკვდავების" მოტივებზე შექმნილი ლალი მიქავას კომპოზიცია ზუსტად გვიხატავს ნინო ჭავჭავაძის სახეს. ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, მუსიკაც (გრიბოედოვის ვალსი, ალაბევ-ლისტის „ბულბული", დვორჟაკის „სლავური ცეკვა"), სიტყვაც ამ მიზანს ემსახურება. დები კარინა და რუზანა ლიხიციანები ფორტეპიანოს მუსიკას გრიბოედოვის თანამედროვის — კომპოზიტორ გურილიოვის რომანსებით აძლევენ ბანს.

მხატვრული კითხვის ოსტატი იგორ კონჩენკო გრიბოედოვის ბარათებს კითხულობს, ეკრანზე კი მუნჯი გამოსახულებით ჩნდება თავად ჭავჭავაძის მამული — წინანდალი, რომელსაც მისი ოჯახის წევრთა პორტრეტები სცვლის. მსმენელი და მაყურებელი სიამოვნებით უცქერის მშვენიერ ნინო ჭავჭავაძის სურათს. და ყველაფერი ეს ერთად, სინქრონულად გველვრება სულში, თითქოს საქართველოს ისტორიის სიღრმიდან მომქროლავი სუფთა ჰაერის ნაკადს ვსუნთქავდეთ. დღევანდელი საქართველო კი ჩვენს წინაშე ოქტეტის — „დიელოს" სიმღერებით წარმოსდგება. ამ სიმღერების ჰანგები ხან ჩუმად და ნაზად ჟღერს, ხან უფრო ხმამაღლა და ძლევამოსილად. დარბაზი მოჯადოებულია. ცხადია, ეს თეატრიზებული საესტრადო წარმოდგენა უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი კონცერტი.

პროგრამის შედგენის პრინციპი თეატრალობაა, ესთეტიკურობაა, სანახაობრიობაა. ამან არ შეიძლება მაყურებელზე კეთილი, ესთეტიკური და ეთიკური გავლენა არ მოახდინოს.

ლალი მიქავა დიდ, კულტურულ საქმეს აკეთებს, რასაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვს. მადლობა ვუთხრათ მას და ამ მშვენიერი საღამოს ყველა მონაწილეს ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, ინიციატივისა, მეგობრობისა და გულითადობისათვის!

---

და მემალებოდა. როცა შემთხვევით სადმე შევხვდებოდი, ათჯერ ბოდიშს იხდიდა: ნეტავ ზაფხული იყოს, გარეთ აივანზე დავიძინებდიო. სამწუხაროდ ოცი გრადუსი ყინვა იყო.

საღამოს, დასაძინებლად რომ შევედი ოთახში, ჩემი საწოლის წინ იატაკზე დაწოლილიყო და მელოდებოდა.

— გუშინ მთელი ღამე არ დაგაძინეთ, თანაც რამდენჯერ მოგიხდათ საწოლიდან ადგომა ჩემს გასაღვიძებლად, აქ იმიტომ დავწექი, რომ ადგომით მაინც აღარ შეგაწუხოთ, როგორც კი ხვრინვას დავიწყებ, ხელი ან ფეხი წამკარით და ხმა ჩამაწყვეტინეთ.

რაღა უნდა მეთქვა, დავწექი. სოტოლაიმ ისევ ისეთი ხვრინვა დაიწყო და თანაც ჩემს გვერდით. აღარ ვიცოდი რა მექნა. ბოლოს შუაღამისას ორივე წამოვხტით და შეწუხებულები ერთმანეთს მივაჩერდით. ცოტა რომ დავმშვიდდი, შემეხვეწა, კედლისკენ გადაბრუნდით და დაიძინეთ, მე აღარ მეძინება, წიგნს წავიკითხავო. ის-ის იყო თვალი მოვხუჭე, რომ ეტყობა იმასაც დაღლილობამ სძლია, ჩახთვლიმა და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

დილით ექიმი სადღაც გაქრა და სადილზეც არ გამოჩენილა. ქალაქში წასულიყო მაგიდის ჩოგბურთის ბურთების საყიდლად. ვიღაცას ესწავლებინა ზურგზე დაიკერე, გულაღმა რომ აღარ დაწვეო. მთელი საღამო ბურთების დაკერებას მოუნდა. გახარებულმა მითხრა, ახლა ყველაფერი რიგზე იქნება, ძილი ნებისა მისურვა და დაწვა. მეც იმედი მომეცა, მაგრამ ის იყო ჩამეძინა, რომ ისევ დაიწყო ხვრინვა. უკვე მეოთხე ღამე იყო თვალი არ მომეხუჭა. ისე ვიყავი გაწამებული, ვერ აგიწერთ. ჩუმად ავდექი და დერეფანში გავედი. მაშინვე სოტოლაიმაც გამოაღო კარი. სინდისის ქენჯნამ გააღვიძა თუ ბურთებმა, არ ვიცი. შემეხვეწა, მე აქ დავრჩები, თქვენ კი დაიძინეთო, მაგრამ იმ სიცივეში ხომ ვერ დავტოვებდი.

ორივე ისე ვიყავით არაქათგამოცლილი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექით. დღისით, სეირნობისას სოტოლაი ზოგჯერ თავს მხარზე დამადებდა და ისე მოულოდნელად დაიწყებდა ხვრინვას, რომ გულს გამიხეთქავდა. მე ნაშუადღევს თუ მოვატყუებდი თვალს ერთი-ორი საათით.

ჩვენი „დასვენების" უკანასკნელ ღამეს მან საბოლოოდ გამაოცა. ჩაწვა საწოლში, პირი სქელი პლასტირით აიკრა და ნიკაპქვეშ მრგვალი ხის ნაჭერი ჩაიდო, პირი რომ ვეღარ გაეღო. თვითონ კი ეძინა, მაგრამ ისეთ ხმებს გამოსცემდა, თითქოს ცოცხლად დაემარხათ მიწაში და მთელი ღამე ვყარაულობდი, რომ არ გაგუდულიყო. მეორე დღეს საყვედურიც ვერ ვუთხარი, მან ხომ ყოველი ღონე იხმარა, რომ არ შევეწუხებინე...

დასასვენებელ სახლში გატარებულ დღეებს უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. მართალია, იქ ვერ დავიძინე, მაგრამ, სამაგიეროდ შინ დაბრუნებულს მკვდარივით მძინავს და დილით ძლივს მაღვიძებენ, მაშინ როცა მუჭა-მუჭა ვსვამდი ძილის წამლებს და მაინც არაფერს მშველოდა. ახლა აღარც დაღლილობას ვუჩივი და ჩიტივით დავფრინავ! თანაც საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჯანმრთელობისათვის ზამთრის დასვენებაზე უფრო სასარგებლო არაფერია!

უნგრულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთ ჭერქვეშ



ოჯახი საახალწლო სუფრასთან

„პატივცემულო რედაქციავ! ჩვენი დიდი სურვილია ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს გავაცნოთ ქ. თბილისში ავჭალის გზატკეცილის 39-ა კორპუსის № 10 ბინაში მცხოვრები ოთხი შვილის დედა, 25 წლის ნაირა გოგინაშვილი-ჩიტაშვილი, რომლის ოჯახიც ცხოვრობს ცოლშვილიან ორ მაზლთან ერთად. გვიკვირს და გვახარებს სამი რძლის საოცრად კარგი დამოკიდებულება...“

მეზობლები: ც. სოხაძე, თ. თოფურია, დ. კუპრეიშვილი.

რედაქცია სხვადასხვა ხასიათის უამრავ წერილს იღებს. ზოგი რძალ-დედამთილს შორის უსიამოვნებას შეეხება, ზოგი ნათესავებს შორის სამემკვიდრეო სადაო საკითხებს; იგივე მემკვიდრეობისა და ბინის გამო დედმამიშვილს შორის უთანხმოებას.

და აი, რედაქცია დაინტერესდა გულისხმიერი მეზობლების ამ ბარათით და სიამოვნებით მივყევით მათ გამოძახილს, რათა ახლოს გაგვეცნო ერთ ჭერქვეშ, შეწყობილად მცხოვრები სამი ოჯახი.

სადარბაზოში, პირველი შემხვედრი ახალგაზრდა კაცი, ვისაც ვკითხეთ სად ცხოვრობს ნაირა გოგინაშვილი-ჩიტაშვილიო, — თავად ნაირას მეუღლე 27 წლის მერაბ ჩიტაშვილი აღმოჩნდა. მერაბი ოდნავ შეცბუნდა და უხერხულად გვკითხა ვინ ბრძანდებითო.

მოვახსენეთ, ვინც ვიყავით.

გაუკვირდა: — რა გნებავთ, რაშია საქმეო.

— კეთილმა ადამიანებმა გვაცნობეს თქვენი დიდი ოჯახის შესახებ და აი, გეწვიეთ.

— კი ბატონო... წამობრძანდით... ოღონდ ჩვენთან ისეთი ხალხმრავლობაა, არ „შეგეშინდეთ“.

კარი გაგვიღეს თუ არა, შესასვლელში, სიცილ-კისკისით, ჟრიამულით შემოგვეგება ექვსი ბავშვი, რომლებიც მამებს და ბაბუას ელოდნენ თურმე და ჩვენი ხილვით გაწბილებულები უცებ შეცვივდნენ ოთახში.

— აი, ხომ გაგაფრთხილეთ,... გვითხრა ახალგაზრდა მასპინძელმა და შინ შეგვიძღვა.

ტკბილი, თბილი, ბავშვის სპეციფიკური სუნი იდგა ოთახში, სადაც სამი თვის ინგა და 11 თვის ირმა მიემატა. „ხალხს“, რომლებიც თითქოს საგანგებოდ, წლოვანების მიხედვით ჩამომსხდარიყვნენ ტახტზე (რვა წლის მაია, შვიდი წლის მაკა, ექვსი წლის ზურიკო, ხუთი წლის ნინო, ოთხი წლის ნოდარი, სამი წლის თამარი) და განაბულები ცნობისმოყვარე თვალებით შემოგვცქეროდნენ.

— გაგიზარდოთ, „ღმერთმა“ ნუ მოგიშალოთ ასეთი ხალხმრავლობა — ვუთხარი მერაბს და აღარ ვიცოდი რომელ ერთს მივფერებოდი.

მერაბმა მეუღლე წარმოგვიდგინა. ერთი შეხედვით ისე მომეწონა, გაოცება ვერ დავფარე, და... რომელი ოთხი შვილის დედა, გასათხოვარს ახლა გავხართ-მეთქი ვუთხარი. ნაირას ლოყები შეეფაკლა, რას ბძანებთო, მორცხვად მითხრა და რძლებს გასძახა შემოდითო. ოთახში ორი ქალი შემოვიდა. ერთი ატირებული ჩვილისაკენ წავიდა და მეორეს, თითქმის ყმაწვილ ქალს უთხრა: დაჯექი მე მივხედავო. მათ მესამე ქალიც შემოემატა, მორიდებით მოგვესალმა და ბავშვებთან ჩაჭოჯდა.

ეს ჩემი შუათანა რძალია — ეთერი, გვითხრა ნაირამ შემოსულზე, ის კი უმცროსი რძალი — ლალი.

— ბავშვთან რომ არის? — გაკვირვებულმა ვკითხე, რადგან ფიქრით ის უფროს რძლად მივიჩნიე.

— ჩვენი დედამთილია — ღიმილით მითხრა და ალერსით გადახედა ჩვილთან მიმჯდარ ახალგაზრდა ბებოს.

— მამამთილიც გეყოლებათ!

— როგორ არა, მამა 52 წლისაა.

— ოჰო, სამი კი არა ერთ ჭერქვეშ ოთხი ოჯახი ყოფილხართ, განუყოფლად ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა, გაუყოფელი ლუკმა გვაქვს.

— სადილს, ალბათ დედამთილი გიმზადებთ.

— არა, დედა მსახურობს... ინჟინერია, ჩვენ კი ჯერჯერობით შინ ვართ და რომელიც მოიცლის, სადილის მომზადებასაც ის ითავებს ხოლმე.

— ქალბატონო ზოია, გეტყობათ ძალიან გიყვართ რძლები.

— სხვანაირად არც შეიძლება, ძალიან კარგები მყვანან. მარტივად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე იყო ნათქვამი რძლების ქება.

— მეუღლეები თუ გეხმარებიან? — ვკითხე ახალგაზრდა ქალებს.

— მეუღლეები დღისით მუშაობენ, საღამოს სწავლობენ, ისე, რომ ჯერჯერობით ჩვენ უნდა „მივეხმაროთ“.

—ალბათ ორ-ორ შვილს მაინც გაიჩენთ ნაირას რომ დაეწიოთ, — ვკითხე ორი ვაჟის დედას — ეთერს და ლალის, რომელსაც სამი წლის თამარი და სამი თვის ინგა ჰყავს.

თუ ბინაში ჩაგვიწერენ რატომაც არაო — მიპასუხეს.

შვილებს როგორ არ ჩაგიწერენ-მეთქი.

— როგორ და, სამოთახიან ბინაში 16 სული ვართ და გვეხუმრებიან: — როცა ახალ ბინას მიიღებთ, მაშინ კიდევ მეტად იმრავლეთ და იხარეთო.

მართლაც იმრავლოს და იხაროს ნოდარ და ზოია ჩიტაშვილების ნაგრამმა, ასე შეხმატკბილებულად რომ ცხოვრობენ ერთ ჭერქვეშ.

ნაზი თარგამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნატო ფალავანდიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ნატალია ფალავანდიშვილი იმ მხატვართა რიგს განეკუთვნება, რომელთა შემოქმედებითი სახე 1950-60-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქართული საბჭოთა ხელოვნების ისტორიაში მოხდა არსებითი გარდატეხა, რომელიც განისაზღვრებოდა მხატვრული გამომსახველობის ახალი მეტყველი ფორმების ძიებით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა შემოქმედებითი ინდივიდუალობის შესაძლებლობათა ფართო გამოვლენას.

ნ. ფალავანდიშვილმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, გრაფიკის ფაკულტეტი (1945 წ.), სადაც მას ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც იყვნენ ლ. გრიგოლია, ი. შარლემანი. სადიპლომო თემად მხატვარმა წიგნის გრაფიკა აირჩია, მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებისთანავე მან გაითქვა სახელი როგორც პეიზაჟისტმა. მოგვიანებით პეიზაჟს შეემატა ახალი თემა — პორტრეტი, რომელმაც მხატვრის ნიჭის კიდევ ერთი მხარე წარმოაჩინა.

ნ. ფალავანდიშვილის შემოქმედების განხილვისას ნათლად ჩანს, თუ როგორ ფართოვდებოდა წლითი-წლობით მისი ნამუშევრების თემატიკური დიაპაზონი, მდიდრდებოდა პალიტრა, უფრო გაბედული ხდებოდა გრაფიკული ხერხების გამოყენება, როგორ ძლიერდებოდა მის შემოქმედებაში დეკორაციული ტენდენციები, რაც ვლინდებოდა კომპოზიციის წყობაში, განსაკუთრებით კი გრაფიკული და ფერწერული ხერხების თავისებურ სინთეზში. მაგრამ მუდამ უცვლელი რჩებოდა კამერულობის, ინტიმურობის გრძნობა, რომელიც ნაწარმოებებს გარკვეულ პოეტურობას ანიჭებდა. ამასთან ერთად უკვე ადრეულ ნამუშევრებში ვლინდება მხატვრის სახოვანი განზოგადების განსაკუთრებული უნარი (გუდამაყრის ხეობა, სოფ. მზეთა-მზე; 1957 წ.), თვალნათლივ ხდება ავტორის ემოციური დამოკიდებულება მის მიერ შერჩეული ობიექტისადმი; (ყურადღებას იპყრობს თამამი, ფართო და თავისუფალი წერის მანერა. მეტ შემთხვევაში ნაწარმოებები არ გამოირჩევიან დიდი ზომით, მაგრამ მათში ასახული ფართოდ გაშლილი მთის ფერდობები მეტად შთამბეჭდავია თავისი სიდიადით. ყოველი სურათი მთლიანობაში ეპიკურ, მონუმენტურ ხასიათს იძენს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ფალავანდიშვილის სურათებში გამომსახველობის მხატვრული ხერხები — ნახატი, ფერი, კომპოზიციის წყობა, მათი ურთიერთშეფარდების ვარიანტები — ყოველთვის უშუალო დამოკიდებულებაშია თემასთან, გამოსახულ პეიზაჟის ხასიათთან. ასე მაგალითად, თუ „თოვლიანი პეიზაჟის“ (1960 წ.) მეტყველ სახეს განსაზღვრავს იმ მხატვრული ეფექტის ხაზგასმა, რომელიც მხატვრის თვალმა ამოიკითხა დათოვლილი ფერდობების სითეთრესა და მასზე მკაფიო სახეებად დაჩნეულ ხილვებისა და ხეთა შიშველი ტოტების შავი ნახატის კონტრასტულ დაპირისპირებაში, ცხინვალის ხედები („ზამთრის დასაწყისი“, „ორი მთა“ 1965 წ.) გამოირჩევა წერის უაღრესად „რბილი“ მანერით: მთის დენადი მონახაზი თითქოს უჩინარდება ნისლიან ჰაერში, რბილად გადაედინება ერთიმეორეში ნაცრისფერი, თეთრი, მოიასამნისფრო და ცისფერი ლაქები.

პეიზაჟის თემა ნ. ფალავანდიშვილის შემოქმედებაში წარმოგვიდგება საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ასახვით (თუშეთი, სვანეთი, კახეთი და სხვ.) განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი თბილისის თემას (1958-1980 წწ.).

ბოლო წლების ნამუშევრებში შეიმჩნევა ფერწერული ტენდენციის გაძლიერება, ძირითადი ტონები მასში „შეზელილი“ ნაირფერი რეფლექსების მოლივლივე ფერადი ლაქებით მდიდრდება, მაგრამ ეს არ აკნინებს ნახატის მნიშვნელობას: ფაქიზი ფერწერულობისა და გრაფიკული გამომსახველობის შეხამება დამახასიათებელი ხდება ნ. ფალავანდიშვილის ნამუშევრებისათვის.

პეიზაჟის თემა ხშირად ჟანრული მოტივებით მდიდრდება (ყველაფერი ფრონტისათვის, 1960; ავტობუსის მოლოდინში, 1967) და ამ შემთხვევაშიც მხატვარს სახასიათოს, ტიპიურის გამოვლენა აინტერესებს.

1960 წლიდან ნ. ფალავანდიშვილი პორტრეტების ხატვას ჰკიდებს ხელს.

მხატვარი გასაოცარი სისწრაფით მუშაობს. მეორე-მესამე სეანსის შემდეგ პორტრეტი ძირითადად დასრულებულ ფორმას იძენს და სწორედ ეს უნარჩუნებს მას ერთგვარი სიცხოველის შეგრძნებას, უშუალოდ დაჭერილ და გადმოცემულ შთაბეჭდილებას. მაგრამ ყველა შემთხვევაში წერის მანერა განსხვავებულია და ასევე, როგორც მოდელის პოზა, ჟესტი პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება ფსიქოლოგიური დახასიათების ამოცანასთან. საოცრად მდიდარი და მრავალფეროვანია პორტრეტთა ფერადოვანი გამა.

ყოლოსფერის, ინტენსიური ლურჯისა და თეთრის კონტრასტულ დაპირისპირებაზე აგებულ მაია პაპინაშვილის პორტრეტთან ერთდროულად არის დაწერილი მაია ბერიძის მეორე პორტრეტი (1965 წ.), რომლის კოლორიტის მკაცრი დახვეწილობა იხსნება ფიგურის თითქმის შავი სილუეტის, ნაცრისფერი ფონისა და სახის და ხელების ოქროსფერი ტონის შეფარდებით. ქ. ორახელაშვილის პორტრეტის მოციმციმე მარგალიტისებრ რუხი კოლორიტის გვერდით, კიდევ უფრო ეფექტურად ჟღერს ლერი ღვინჯილიას პორტრეტის სადაფისფერ-მოოქროსფრო, თუ დალი გორდეზიანის პორტრეტის მოვერცხლისფრო მალაქიტისფერი ტონი.



ელენე ახვლედიანის პორტრეტი



სვანეთი



სერიიდან „ბელგია“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი თბილისი



ომში დაღუპულ გმირთა გახსენება



რობერტ სტურუას პორტრეტი

მკაცრი კოლორიტით გამოირჩევა მამაკაცთა პორტრეტები. აქ, ძირითადად ჟღერს მონაცრისფრო-შავი, ან ლურჯ-შავი ტონალობა (რ. ბერიძის 1980 წ., რობერტ სტურუას 1980 წ., თ. ჩხეიძის 1981 წ. პორტრეტები).

უფრო მსუბუქი ხალისიანი გამა ბავშვთა პორტრეტებში, მაგრამ ამასთანავე მრავალფეროვანი — ხან ნაზი, ფაქიზი, ხან ინტენსიურად მჟღერი, ხანაც მიმქრალი. (მაია ბერიძე 1961 წ., მაია პიპინაშვილი 1965 წ., ნინო ჩუბინიშვილი 1975-1982 წ., გიორგი ჩუბინიშვილი 1976 წ., 1982 წ., ირაკლი კობაიძე 1966 წ., თამრიკო დონაძე 1981 წ., ნატო ბერიძე 1982 წ.).

ნამუშევართა ყოველი ახალი სერია მხატვრის ახალი შემოქმედებითი ძიება, ახალი გამარჯვებაა.

უკანასკნელ წლებში ნ. ფალავანდიშვილი მიმართავს შედარებით მონუმენტურ ფორმებს, რაც თამამი სახოვანი განზოგადების საშუალებად იქცევა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მიღწევას წარმოადგენს სურათი „ომში დაღუპულ გმირთა შესანდობარი", რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ კი საკავშირო და საერთაშორისო (მოსკოვი 1985) გამოფენებზე. მკაცრად რიტმული კომპოზიციის ლაკონურობა, სურათის შავ-თეთრი ტონალობა, სვანური კოშკების ფონზე წარმოდგენილი გამომსახველი, მკაცრად თავშეკავებული პორტრეტ-ტიპები გამოსახულ სცენას დიდი სახოვანი განზოგადების მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს მხოლოდ სვანეთის გმირთა მოსაგონარი როდია, ეს რეკვიემია ომში ყველა დაღუპულზე, მაგრამ საერთო სამგლოვიარო ჟღერადობაში ოპტიმისტური „ნოტით" იჭრება მაგიდაზე დანთებულ სანთელთა ალის ოქროსფერი ლაქები.

ნ. ფალავანდიშვილი კვლავ შეუნელებელი ენერგიით აგრძელებს მუშაობას, შრომის თემა (ჭიათურა, მარგანეცის მოპოვება 1985). პეიზაჟები (სვანეთი, ყანჩაეთი 1985), ბავშვებისა თუ მოზრდილთა პორტრეტები (უკანასკნელთა შორის მუშები, კულტურის მოღვაწენი 1984-85) წარმოგვიდგება მის მრავალრიცხოვან ახალ ნაწარმოებებში.

ნ. ფალავანდიშვილის დიდ, ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს მისი სისტემატური მონაწილეობა რესპუბლიკურ, საკავშირო და უცხოეთის (ჩეხოსლოვაკია, გდრ, უნგრეთი, შვეცია) გამოფენებში.

ნ. ფალავანდიშვილის შემოქმედება გვხიბლავს გრძნობათა სინამდვილით, რბილი ემოციურობით, ახარებს თვალს მხატვრული გემოვნების დახვეწილობით. მისი ნაწარმოებები პოეტურნი არიან განწყობილებით, შესრულების მანერით კი „ვაჟკაცური".

გაიანე ალიბეგაშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი.



მხატვარი ცინარა ტერელაძე

ცხელი ზაფხული იდგა. ოჯახი თბილისის მახლობლად დასასვენებლად გაემგზავრა. დღეები დღეებს მისდევდა და შვილების კარგად ყოფნით ხარობდნენ მშობლები.

ერთ დღეს ნინომ ქმარშვილი ასაუზმა და მახლობლად ტყეში სოკოს საკრეფად წავიდა. ბავშვებს მიმიხედე, მალე დავბრუნდებიო, ქმარს დაუბარა.

მოულოდნელად ამინდი შეიცვალა. ცა მოიქუფრა, შემდეგ თავსხმა წამოვიდა. სხვა გზა არ არის, სანამ გადაიკარებდეს, ხეს შევაფარებ თავსაო, გადაწყვიტა ნინომ. უეცრად ჭექა-ქუხილმა შესძრა გარემო, ელვის ნაპერწკლები ჰაერში მიმოიფანტა... ქალი უსულოდ დაეცა მიწაზე. მეხმა ქალი მოკლაო, სწრაფად გავრცელდა შემზარავი ამბავი. ფეხზე დადგა კურორტი, მაგრამ აბა სად იყო გზა ხსნისა. დაიღუპა სრულიად ახალგაზრდა და დაობლდა სამი მცირეწლოვანი, საფრთხე იქ ჩაუსაფრდათ, სადაც არ ელოდნენ. მართლაც მეხდაცემული დარჩა ოჯახი. ნინო მხოლოდ 28 წლისა იყო. სამედიცინოს სტუდენტი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა, სწავლასთან ერთად ქმარშვილსაც რომ უვლიდა. მოულოდნელი ხვედრი — აღსაზრდელებზე ზრუნვა ცალად დარჩენილ თენგიზს დაეკისრა.

უმწეო თვალებით შეჰყურებდნენ მამას რვა წლის ნათელა, ორი წლის თათია და შვიდი თვის ანზორი. დარდისაგან გაოგნებული თენგიზი, უაზროდ დააბოტებდა. ხანშიშესულმა ბებიამ და ბაბუამ პატარებს ზრუნვის თბილი კალთა კი გადააფარეს, მაგრამ როდემდის შესწევდათ ძალა, ისედაც ნირწართმეულებს, განა შეეძლოთ დიდხანს ეზიდათ ეს მძიმე ტვირთი და დიდი მოვალეობა?

კალენდარმა სამი წელი მიითვალა. თენგიზს შინაურები შეუჩნდნენ, მარტოხელა ვერ შესძლებ შვილების აღზრდას, როდემდე უნდა იარო ასე ცალად, მშველელი გჭირდება და ცოლი შეირთეო. და ისიც, მეორედ დაქორწინდა. სამი და-ძმა გაფართოებული, შეშინებული თვალებით შესცქეროდა უცნობ დედისმაგიერს. კაცი ფიქრობდა, სითბოს, ალერსს, დედის ზრუნვას ბავშვებს არ მოაკლებს ელენეო, მაგრამ მოტყუვდა, მოტყუვდა და მერე როგორ! ფუჭი დაპირება აღმოჩნდა, რასაც ქალი შეუღლების წინ თენგიზს ეფიცებოდა. დედინაცვალმა ოჯახში ფეხი შედგა თუ არა, გულგრილად დაუწყო მზერა ობლებს. ქმარი გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა, დარდს დარდი მიემატა. რა გზას დადგომოდა, არ იცოდა. ქალმა იმარჯვა, ქმარი აიძულა და თათია და ანზორი საბავშვო სახლში მოათავსეს. ნათელა ბებიამ წაიყვანა, ჯანდაწრეტილმა ეგების შევძლო და ერთ ბავშვს მაინც მივხედოო.

საბავშვო სახლის გამგემ ნატო დეიდამ და-ძმა თბილად მიიღო, თენგიზი დაამშვიდა, ნუ დარდობთ, ბავშვებს ყურადღება არ მოაკლდებათ, მაგრამ ხშირად შემოიარეთ, პატარები მშობლებს ნატრულობენო. მხრებდაშვებულმა მამამ ლასლასით ჩათვალა საბავშვო სახლის კიბის საფეხურები. გულდამძიმებული დაბრუნდა შინ. ამ დროს ელენე ბინაში კორიანტელს ატრიალებდა, შლიდა ძველს, ამკვიდრებდა ახალს, მისეულს.

ბავშვების საძილე ოთახის კედელზე მშობლებისა და შვილების სურათი ეკიდა. ბედნიერება იღვრებოდა კედლიდან. ოჯახის ახალმა დიასახლისმა ჩამოხსნა სურათი და გარემოს ღიმილი გაუკრთო, კედელს მხოლოდ ჩამუქებული მონახაზი შეუნარჩუნა. მამა გაფითრებული იდგა, მისი მზერა კედელზე მუქად აღბეჭდილ სიცარიელეს მიჰყვებოდა, იდგა ქანდაკებასა-

ვით და მომძლავრებული დარდით შეპყრობილი ხმას ვერ იღებდა. პირველი დედაბოძისა და შვილების სახება ბინაში თანდათან ქრებოდა, ცხოვრება იწყებოდა თავიდან.

დაირწა ორი აკვანი. უმცროსი და-ძმა შეემატა ოჯახს. საბავშვო სახლში მყოფი თათიასა და ანზორისათვის მამის ყურადღება უფრო და უფრო ნელდებოდა. მათთვის უკვე აღარ ეცალა მშობელს, მით უფრო — დედინაცვალს. პატარები მხოლოდ და მხოლოდ საბავშვო სახლის ზრუნვით სუნთქავდნენ. ითანგებოდნენ პატარა გულები.

და-ძმა წამოიზარდა. ანზორმა საბავშვო სახლიდან გადაინაცვლა სკოლა-ინტერნატში — სასწავლებლად გაგზავნეს. თათია მამამ შინ წამოიყვანა. გოგონა სიხარულით ცას ეწია. თავი სიზმარში ეგონა, გზაზე სულ კუნტრუშით მიდიოდა. მისი ფიქრით მამის მყუდრო ბინა ელოდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარდისფერი ოცნება გამოდგა.

გოგონამ ზღურბლს ფეხი გადაადგა თუ არა, საშინელი სიცივე შეეფეთა. უმცროსი და-ძმა შორს დადგნენ — თითქოს უცნობი ქალიშვილი შეიჭრა მათ ჭერქვეშ, გაკვირვებული თვალით შესცქეროდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს. დედინაცვალმა მხოლოდ გამჭოლავი მზერა შეაგება, არავითარი ყურადღება და სითბო არ გაიმეტა დედისმონატრული გოგონასათვის. ამ დღიდან დაიწყო ელენეს ნერვული ძახილი: „თათია, ქეთინოს მიხედე, გარეთ გაიყვანე, ზურიკო ათამაშე. თათია, ჭურჭელი დარეცხე, იატაკი მოასუფთავე". დღენიადაგ მუხლის ჩახრა არ ჰქონდა მოსწავლე ბავშვს. გაუუხეშდა ჯაფისაგან ხელი, მხრებზე კი ეყარა ხვეული ქერა თმა, უელვარებდა ნაზი სახის კანი... მისი მზერა ამაყიც იყო და ნაღვლიანიც, მოზარდი ქალიშვილი თანდათან დედას ემსგავსებოდა, მაგრამ ვის სჭირდებოდა მისი დედის ხატება.

არავინ ეძიებდა თათია სასწავლებელში რას აკეთებდა, გაკვეთილებს ამზადებდა თუ არა. თავად აღსაზრდელი ჩუმად და უხმაუროდ პატრონობდა უმცროსებს. ზრდადასრულებული ქალივით დააბიჯებდა პატარა დედაკაცი და მისი კვება, მოვლა-პატრონობა ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული.

თათია ბალიშის ქვეშ მალავდა სასწავლო წიგნებს. სურდა ღამით მაინც მოემზადებინა გაკვეთილები, მაგრამ შუქს უქრობდნენ, სინათლის გადასახადი იზრდებაო.

მოსწავლის დღიურში ორიანები გაჩნდა. კლასის დამრიგებელმა მშობელი იხმო. შეიცხადა დედინაცვალმა, თათიას ტუქსვა დაუწყო, ზარმაცი, უნიჭო ხარო. თათია კუთხეში მიჯდა და მოიკუნტა, ცრემლი თვალებიდან ღაპა-ღუპით სცვიოდა. აბა ვინ კითხულობდა, ჰქონდა თუ არა მეცადინეობის პირობები და საშუალება.

თათია მეშვიდე კლასში გადავიდა. თანდათან სუსტდებოდა და ილეოდა ფერმკრთალი გოგონა. ქანცმილეულს მოულოდნელად დიდი სიცხე მისცა: შეშინდნენ და ექიმს გამოუძახეს. ექიმმა ვერაფერი საიმედო თქვა. საავადმყოფოში სასწრაფოდ წაყვანაა აუცილებელიო. ფილტვების ტუბერკულიოზი — დასვეს დიაგნოზი. ახლა კი შეშფოთდა მამა, ელდა ეცა დედინაცვალს, უმცროსები არ დაგვიავადდესო — საფიქრალი გაუჩნდათ.

თათია ტუბერკულიოზის კვლევითს ინსტიტუტში მოათავსეს, შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს, აბასთუმნის ბავშვთა სანატორიუმში გაგზავნეს, ლიბანშიც მკურნალობდნენ, ადგენდნენ გოგონას ავადმყოფობის ისტორიებს, სამკურნალო დაწესებულებებში ებრალებოდათ ჯანმრთელობაშელახული, უიმედო ბავშვი. ექიმები თავს არ ზოგავდნენ, ოღონდ ოქროსკულულებიან გოგონას ჯანის სიმრთელე დაბრუნებოდა.

ერთხელ თათიამ მამას აბასთუმნიდან დეპეშა გაუგზავნა. მენატრები, მამიკო, მინახულეო. ყოველ ცისმარე თვალი კარისკენ ეჭირა, აი ახლა გამოჩნდებაო! მაგრამ გულგაციებულ მამას როდი ესმოდა შვილის ძახილი!

ავადმყოფი თანდათან მოკეთდა, გამოჯანმრთელდა, სწავლის გაგრძელების უფლებაც მისცეს. სალამოს საშუალო სკოლა დაასრულა. ოცნებად ჰქონდა ექიმი გამხდარიყო, დედის პროფესია იზიდავდა, მაგრამ მეცადინეობისათვის ძალა არ შესწევდა. ხუმრობა ხომ არ იყო საგამოცდო კონკურსში გამარჯვება. სურვილი სურვილად რჩებოდა.

თათიას კარგი ხმა ჰქონდა. უყვარდა სიმღერა. საბავშვო სახლში საღამოებს მართავდნენ და მაყურებელნი, აღმზრდელები ტაშით აჯილდოებდნენ. მუსიკალურ სასწავლებელს მიაშურა, იქნებ აქ გამიმართლდესო იმედით და მართლაც გაიმარჯვა კონკურსში და მიიღეს. პედაგოგი ლიდა პეტრეს ასული ძალზე ყურადღებით ეკიდებოდა ნიჭიერ ქალიშვილს. მის თვალწინ ნათლად გადაიშალა მოსწავლის ცხოვრების მძიმე სურათი. ზრუნავდა მისთვის და გულმოდგინედაც ამეცადინებდა, თავისთან მიჰყავდა, ურჩევდა, არიგებდა, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

თათიას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა — დედინაცვალში ეხილა ღირსეული დედის მაგიერი, ეგრძნო მშობლის დიდი გული, გული სათნო და მოსიყვარულე. ოჯახის დიასახლისს ერთხელ უნებლიედ დედაო — მიმართა. დედინაცვალი უმალ შემობრუნდა და მკვახედ მიახალა, აბა რას მეძახი, დღემდე ვერ გაიგე, რომ მე შენი დედა არა ვარო. თათიამ ნაბიჯი უკან გადადგა, ადგილზე გაქვავდა და უკაცრავადო, ძლივს წარმოთქვა. გულის ტკივილმა უმატა, მისი ნაკვალევი აღებეჭდა სახეზე, იმედის უკანასკნელი სხივიც ჩაუწყდა გოგონას.

ოჯახისაგან შერისხულ თვალხატულა ქალიშვილს ახალი განსაცდელი ჩასაფრებოდა...

ანზორი სკოლა-ინტერნატში სწავლობდა და იქვე ცხოვრობდა. თვეში მხოლოდ ერთხელ მიდიოდა შინ. ელენე დაუსრულებლად ბუზღუნებდა, იმიზეზებდა — სამგზავრო ფული ხომ სჭირდება, საშუალება სად არის ყოველ თვეში ბიჭმა ჩვენთან იაროსო. მამისეულ ბინაში უფროს ვაჟიშვილს თავისუფლად შესვლა ეკრძალებოდა. იგი დამუნჯებული და გულდაწყვეტილი შესცქეროდა როგორ ანებივრებდნენ მის უმცროს და-ძმას, რა ზღვარი იყო მათ შორის. იდგა ნირწამხდარი გაცრეცილი სახითა და ჯიუტი თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატი დაასრულა, მაგრამ სად ჰქონდა საცხოვრებელი, ღამის გასათევი. მამის ნებისყოფა კარგახანია დაამარცხა ელენემ და უკვე გარეშე გახდა მათთვის. მამასა და შვილს შორის უნებლიედ აღიმართა ცივი კედელი. დედინაცვალთან მას არ ედგომებოდა. იძულებული გახდა მეტწილად ქუჩაში, კარდაკარ, შეძენილ „მეგობრებთან" ეპოვა თავშესაფარი. ღვინის სმას მიჰყო ხელი. ერთხელ ამხანაგის დაბადების დღეზე მიიპატიჟეს. შექეიფიანებული ახალგაზრდები წალაპარაკდნენ, შემდეგ ხელჩართული ჩხუბი გამართეს, ვიღაცამ დანაც დაატრიალა, მილიციამ დამნაშავენი დააპატიმრა. ანზორს ორი წლით პირობითი სასჯელი მისცეს. დანაშაულამდე მივიდა გზასაცდენილი. შემდეგ ისევ უკადრისი საქმე ჩაიდინა. მამას მოპარა ორასი მანეთი. ალიაქოთი ატყდა ოჯახში. მშობელმა შვილს არ აპატია დანაშაული და თავიდან მოიცილა, ამხილა და დააპატიმრებინა.

სამკურნალო შემოწმებით ანზორსაც ფილტვების ტუბერკულიოზი აღმოაჩნდა, საავადმყოფოში მოათავსეს. თათიას თავზარი დაეცა. რა დროს სიმღერაზე ფიქრი იყო, ძმა ხელიდან ეცლებოდა. თავი მიანება სასწავლებელს და სადაც ავადმყოფი ანზორი იწვა იქ სანიტრად დაიწყო მუშაობა. ჩემს თვალწინ იქნება, მე მივხედავ, ყურადღებით მეყოლებაო.

ბავშვების მამიდა წვრილშვილიანი იყო, ვიწროდ ცხოვრობდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, თათია საცხოვრებლად თავისთან გადაიყვანა.

თენგიზის ახალ, დიდ ბინაში უცხოური ჭაღები ჩახჩახებდა. ოჯახის შვიდ წევრზე იყო ორდერი გაფორმებული და მათგან სამი და-ძმა სხვადასხვა მისამართებით იყვნენ მიმოფანტულნი, — ნათელა ბებიასთან, თათია — მამიდასთან, ანზორი—საავადმყოფოში. მათ ჭერქვეშ ყოვლისშემძლე დედინაცვალი მბრძანებლობდა.

თათიას სურვილი ყელს რომ მოებჯინებოდა, ფანჯრებიდან მოჭიატე შუქს შორიდან უწყებდა თვალთვალს. მშობლის თბილ კალთას მონატრებულს, სარკმლის მიღმა თითქოს დედის ლანდი ელაციცებოდა. ბედის ულმობლობამ დედაც ხომ მიწასთან გაასწორა და ცოცხლად დამარხა შვილებიც.

მამა და დედისმაგიერი კი უსაფრთხო ნაპირზე მძლავრად იდგნენ ცხოვრებით კმაყოფილები. გულდაშრეტილები ხელს არ უწვდიდნენ დაღდასმულ ბავშვებს.

ვიწრო ბილიკით მიდიოდა სამი და-ძმა. შეძლებდნენ კი დიდ გზაზე გასვლას, წელში გამართვას თავისანაბარად დარჩენილები? მათ ხომ ცივ კედლად ჰყავდათ აღმართული გულქვა მამა და დედინაცვალი.

თუ არა მშობელს, აბა სხვას ვის უნდა გაეწოდა შვილებისათვის დახმარების ხელი!

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მე „სვობოდა" მქვია

ი. ანოხინი, ს. ანჩევა და ვ. პონიზოვსკი

ამ ნარკვევს საფუძვლად უდევს საარქივო საბუთები, რომლებიც ლეგენდური მილკას — სვობოდა მიხაილოვას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

დიდი სამამულო ომის დროს ის მტრის ზურგში მუშაობდა. თავის რადისტ ქმართან — და ვარნის, დობრიჩის, პლოვდივის სადაზვერვო ჯგუფების ორგანიზატორთან გინო სტოინოვთან ერთად ძვირფას ცნობებს აწვდიდა საბჭოთა სარდლობას. ეს ცნობები აადვილებდა ფაშისტთა ჯარებისათვის გამანადგურებელი დარტყმების განხორციელებას.

სვობოდა მიხაილოვას გმირობაზე ბევრი რამ იწერებოდა როგორც ბულგარეთის, ისე საბჭოთა კავშირის პრესაში, მასზე ერთობლივად შექმნეს ფილმი საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კინემატოგრაფისტებმა, დაიბეჭდა ვ. პონიზოვსკის და ი. ანოხინის ნარკვევები „დაპატიმრებამდე ერთი საათით ადრე" და „სიკვდილამდე კი ოთხი ნაბიჯი იყო".

იური ანოხინის ნარკვევში, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ, აღწერილია ბულგარეთის სახელოვანი შვილის, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის, ჩვენი ქვეყნის ერთგული მეგობრის — სვობოდა ანჩევის გმირული თავგადასავალი.

* * *

... კუბოსმაგვარი საკანი გაჭედილი იყო ტუსაღებით. საკანში კედლებიც ნაცრისფრად იყო შეღებილი, საბნებიც ნაცრისფერი იყო, ჭურჭელიც ნაცრისფერ თაროებზე ეწყო. ხის ურდულით დაკეტილ ფანჯარაშიც ნაცრისფერი სინათლე შედიოდა. სლივენსკის ციხე მეოთხე იყო მისთვის. მანამდე ვარნის, შუმენსკისა და სოფიის ციხეებშიც იჯდა.

დილის 6 საათი იყო. ზედამხედველი ჩვეული ცნობისმოყვარეობით იჭვრიტებოდა სათვალთვალო ნახვრეტში. საკანში ათასზე მეტი პატიმარი ყოველდღიურ, უსასრულო და უმიზნო სიარულს იწყებდა: ექვსი ნაბიჯი დიაგონალზე, სამი კედლამდე და ისევ ექვსი — დიაგონალზე. სიკვდილის მეტი სხვა არაფერი იყო მოსალოდნელი.

მაგრამ უმჯობესია თავი გავანებოთ ამაზე ფიქრს, უმჯობესია თავს ძალა დავატანოთ და გადავიყაროთ სიკვდილზე ფიქრიც, და, საერთოდ, ყველაფერზე ფიქრი.

მილკას (ასე ერქვა მას საბუთების მიხედვით) ხვედრი განსაკუთრებული იყო. ის განათლებით ინჟინერი, ლიტერატურის ჩინებული მცოდნე, გინოსთან ერთად ბედმა ბულგარეთში გადაისროლა, სადაც ხან რად და ხან რად, ბოლოს კი პატარა რესტორან „თრაქიის" მფლობელად გვევლინებოდა. მაგრამ, რა ნიღაბიც უნდა ჰქონოდა, მის მკერდში ძგერდა გული იატაკქვეშეთელი ანტიფაშისტისა, ნიჭიერი მზვერავისა, რომლის ცნობებსაც წითელი არმიის გენერალური შტაბის სამხედრო სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

მილკას ასეთი თვისება გამოუმუშავდა: ფაქტები, რომლებსაც სხვები წვრილმანებად მიიჩნევდნენ, მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა და იყენებდა. აი, მაგალითად, „თრაქიაში" ერთი წუთით ქვეითი ჯარისკაცი შევიდა, რომელსაც მკერდზე მედალი „1941 წლის ზამთრის კამპანიისათვის" ეკეთა, ერთი ჭიქა არაყი გადახუხა და უსიტყვოდ გადაიხადა ფული — აა! ესე იგი, გერმანელები თავიანთ გაქუცულ, ბრძოლებში ქანცგაწყვეტილ ჯარისკაცებს ბულგარეთში გზავნიან დასასვენებლად! რუმინეთის ნავთობის კომპანიის წარმომადგენელმა უარი თქვა ბულგარელებთან ხელშეკრულების დადებაზე — ესე იგი, გერმანელებმა იყიდეს ნავთობპროდუქტები... წვრილმანებს, თითქოს უმნიშვნელო ფაქტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დაზვერვისათვის.

ინფორმაციის საძებნელად მილკა ხან სოფიას ეწვეოდა ხოლმე, ხან ბურგვასს და ხან დუნაის პორტებს. შავ ზღვაზე გაცხარებული ბრძოლები მიმდინარეობდა და მოსკოვს მტრის გემებისა და ავიაციის შესახებ ცნობები აინტერესებდა.

მილკამ და გინომ ყველაფერი იღონეს, რაც კი შეიძლებოდა. მათგან მოსკოვი თავის დროზე იგებდა რუმინეთის გზით ოდესაში სარეზერვო დივიზიების გადაგზავნის ცნობებს, თვალყურს ადევნებდა მტრის გემების მოძრაობას, ადგენდა გერმანიისა და ბულგარეთის თვითმფრინავთა რიცხვსა და დისლოკაციას. დივიზიებისა და პოლკების ნომრები, ოფიცერთა და გენერალთა გვარები, მათი მოკლე დახასიათება — ყველაფერი ეს თავს იყრიდა წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოში და დროულად იყო გამოყენებული მტრის საწინააღმდეგოდ.

ყველაფერ ამისთვის ღირდა რისკზე წასვლა! მილკა ამაყობდა, რომ ჯარისკაცი იყო! მან და გინომ ცოტა რამ როდი გააკეთეს. ცოტა რამეს როდი მიაღწიეს!

მათ საქმიან წრეებთან და სამხედროებთან საჭირო და სასარგებლო კავშირი ევალებოდათ. ახლა მათს ხელში წვრილმანი საქმეები კი არ გადიოდა, არამედ ოპერატიული სამხედრო მასალები, რომელთა მიხედვითაც ახდენდა მოსკოვი საარმიო და საფრონტო დანიშნულების ოპერაციათა კორექტირებას.

... ერთხელ, ღამით, როცა გინო წასული იყო საქმეზე, მილკა ქუჩის ხმაურმა გამოაღვიძა: აი, ნელი ნაბიჯების ხმაც შემოესმა. ადგა, კართან მივიდა და ზარს დაელოდა. გაიღო კარი და... რას ხედავს, სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილი პოლიციელები არიან!

ვარნის პოლიციის უფროსმა რაინოვმა დაჰკითხა. ის ეკითხებოდა, სად არის გინო, სად ინახავთ გასაგზავნ მასალებს, ვინ არიან თქვენი ახლობლები და ნათესავებიო. აგენტმა, რომელიც უფროსს თან ახლდა და ეხმარებოდა, ერთი-ორჯერ გაარტყა მილკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეში, მაგრამ რაინოვმა შეაჩერა: არ გინდა, ამას ისეც ავალაპარაკებთო. მილკამ ცრემლები მოიწმინდა, გახეთქილ ტუჩზე ენა მოისვა. გული ლამის ამოვარდნოდა, ისე უცემდა, მაგრამ მაინც მხოლოდ ამას გაიძახოდა: „არ ვიცი... არ ვიცი... წავიდა. არაფერი ვიცი. მე ერთი უსწავლელი ქალი ვარ... არ ვიცი, არაფერი ვიცი..."

გამოსატეხად 68 დღეს აწამებდნენ, სასამართლოს პროცესი კი ოთხ საათს გაგრძელდა.

„განაჩენი №340. მისი აღმატებულების, ბულგარეთის მეფის ბორის მესამის სახელით დღეს, 1943 წლის 17 ივნისს შუმანსკის საველე სამხედრო სასამართლომ თავის სხდომაზე ვარნაში... მოისმინა ბრალდებულ მილკა პეტროვა ვლადიმიროვას საქმე... სასამართლომ მილკა პეტროვა ვლადიმიროვას მიუსაჯა საჯაროდ ჩამოხრჩობა. განაჩენი წაკითხულია დღეს, 1943 წლის 17 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე ქალაქ ვარნაში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად".

ფიზიკური წამება მორალურმა წამებამ შეცვალა: ზედამხედველები უტიფრად გვეპყრობოდნენ, ფანჯრიდან ყოველდღე შემოდიოდა ხმა: „მშვიდობით, ამხანაგებო!"

დრო კი ჩვეულებრივად გადიოდა. დადგა გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. ორმოცდაოთხი წლის სექტემბერში სულ წვიმდა და წვიმდა. კოკისპირული წვიმა საკნის სარკმელებს უშხაპუნებდა და შიგნითაც ატანდა. ციხის ტელეგრაფმა გადასცა ცნობა, მესამე უკრაინის ფრონტი შეტევაზე გადმოვიდაო; სარეგენტომ უახლოეს ხანში ყველა პოლიტიკური დამნაშავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა.

მას 8 სექტემბერს მიაკითხეს. ბოლთას სცემდა დერეფანში. მთელი ციხე ბობოქრობდა. მებრძოლმა მუშებმა დაცვა განაიარაღეს. ერთი კეპკიანი ახალგაზრდა გახარებული მივიდა მასთან, აკოცა და ჰკითხა:

— „რა გქვიათ თქვენ, ამხანაგო?"

— „სვობოდა" — უპასუხა მილკამ.

— სვობოდა, ჰო, რა თქმა უნდა, კარგია სვობოდა! მაგრამ თქვენ რა გქვიათ?

მან სიამაყითა და სიამოვნებით გაიმეორა:

— სვობოდა! მერე ცოტა ხანს გაჩუმდა და დასძინა:

მე სვობოდა მქვია, სვობოდა მიხაილოვა ვარ!

მისი სახელი, დაბადებისას მშობლებმა რომ დაარქვეს, საბუთებში რომ ეწერა, დავიწყებას მიეცა. ის მილკა აღარ იყო, სვობოდა იყო და წინ ახალი ცხოვრება გადაშლოდა — ტანჯვაგავლილი, მაგრამ დიდი, მშვენიერი ცხოვრება...

* * *

ავტორისაგან: მოგვიანებით სვობოდამ შეიტყო, რომ კომუნისტებს გადაურჩენიათ. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მთავრობისათვის ულტიმატუმი წაუყენებია: თუ პოლიტიკურ პატიმართაგან თუნდაც ერთს ერთი ღერი თმა მაინც ჩამოუვარდა, მთავრობის წევრები ხალხის სამსჯავროს წინაშე წარსდგებითო.

მესამე უკრაინის ფრონტის ჯარები და პარტიზანები უკვე სოფიაში იყვნენ. მთავრობა დანებდა ჯარებს.

სვობოდა სოფიაში გაემგზავრა. იქ სამხედრო თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. 1944 წლის 7 ნოემბერს სოფიის ცენტრში, სახალხო გმირთა საძმო საფლავში ჰიტლერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გინოს ცხედარიც ჩაასვენეს. ხალხმა ის სამხედრო პატივით დაკრძალა.

ორმოცდახუთი წლის დასაწყისში სვობოდა სამრეწველო ხაზით გაგზავნეს სამუშაოდ. მას ბრძოლა უნდოდა, სურდა გინოს მკვლელობისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ პარტიამ სამუშაოდ გაგზავნა და ისიც დაემორჩილა. ხალხს თავისი საინჟინრო კადრები, თავისი სპეციალისტები, თავისი ხელმძღვანელი მუშაკები სჭირდებოდა. სვობოდა მიხაილოვამ თავისი ცხოვრების ომისშემდგომი წლები ბულგარეთის სარკინიგზო მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას მოახმარა. პენსიაზე გასვლამდე ის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური დირექციის სარკინიგზო მრეწველობის განყოფილებას განაგებდა.

სვობოდა მიხაილოვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ორდენების კავალერია, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, რომელიც მას მოსკოვში გადაეცა ომის პერიოდში მტრის ზურგში აქტიური ანტიფაშისტური მოღვაწეობისათვის. 1975 წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო კრების პრეზიდიუმმა კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომისათვის მას ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა.

სვობოდას ბავშვები ლუდმილა და პეტრე გაიზარდნენ და კარგი მოქალაქეები და სპეციალისტები დადგნენ. სვობოდა უკვე მზრუნველი და მოსიყვარულე ბებიაა.

სვობოდა მიხაილოვა ხშირად ჩამოდის საბჭოთა კავშირში, სადაც თავის მრავალ მეგობარს ხვდება. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს მან ამ სტრიქონების ავტორს უთხრა:

— სიამაყითა და სიხარულით უნდა ვთქვა, რომ ომის დროსაც და შემდეგაც — მშვიდობიანი მშენებლობის წლებში წილად მხვდა ბედნიერება მეშრომა და მებრძოლა ჩემი ძვირფასი სამშობლოსათვის — ბულგარეთისათვის. მოხარული ვარ და ვამაყობ, რომ დღევანდელი ბულგარეთი, თქვენს დიად ქვეყანასთან მხარდამხარ, რწმენით მიემართება ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ!

იური ანოხინი,
მწერალი.

ჩვენი რესპუბლიკის დრამატულ თეატრებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი, — ანდა, როგორც ხშირად ვუწოდებთ ხოლმე, „გლდანის თეატრი". ახალგაზრდაა არა მარტო იმიტომ, რომ არსებობის სულ რაღაც ორსამ წელიწადს ითვლის, არამედ იმიტომაც, რომ მსახიობთა უმრავლესობა სრულიად ახალგაზრდები არიან; ბევრი მათგანისთვის ამ თეატრის სცენა იყო ის მოედანი, საიდანაც პირველად წარსდგნენ ფართო აუდიტორიის წინაშე და პირველად შეიგრძნეს მაყურებელთა დარბაზის ზემოქმედების „ძალა" და „გემო".

ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდებს გვერდით ჰყავთ როგორც უკვე სახელმოხვეჭილი, ისე გარკვეული შემოქმედებითი ბიოგრაფიის მქონე მსახიობები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ვიოლეტა პაქსაშვილი.

ვიოლეტას, თბილისის გარდა, დიდი ხანია კარგად იცნობს მახარაძის, სოხუმის, თელავის, რუსთავის მაყურებელი და თეატრალური საზოგადოებრიობა.

ვიოლეტა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, ჯერ კიდევ სასკოლო წარმოდგენებში და სხვადასხვა საღამოებში მონაწილეობდა, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა უცხო ენათა ინსტიტუტში განაგრძო.

ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტმა (როგორც ეს ხშირად ხდება), გადაწყვიტა სტუდენტების ძალებით წარმოედგინა ფრანგი კლასიკოსის ა. დიუმას „ქალი კამელიებით", სადაც მარგარიტა გოტიეს როლის შესრულება ვიოლეტას ხვდა წილად.

კანონზომიერი გახლდათ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მოიწადინა ეს ნამუშევარი ეჩვენებინა მარგარიტა გოტიეს როლის აღიარებული, კლასიკური შემსრულებლისთვის, ქართული თეატრისა და კინოს მშვენების — ვერიკო ანჯაფარიძისთვის.

ახალგაზრდა გოგონამ მიიპყრო ქ-ნ ვერიკოს ყურადღება და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს, მისივე რეკომენდაციით მარჯანიშვილის თეატრში ჩაირიცხა სცენის თანამშრომლად.

ასე მიიღო ვიოლეტამ თეატრალური ნათლობა. „მსახიობთა ჩემზე უფროსი თაობიდან, — ამბობს ვიოლეტა, — თითქმის ყველა ცდილობდა დამხმარებოდა, რათა ჩავწვდომოდი იმ ჯადოსნურ ძალას, გამეგო „საიდუმლოება" თეატრისა, ასე ანდამატივით რომ მიზიდავდა თავისკენ. ისინი მეხმარებოდნენ შემეთვისებინა მსახიობის ოსტატობა, გამომემუშავებინა ჩემში პროფესიული ჩვევები და აზროვნება; ამ მხრივ განსაკუთრებით ვარ დავალებული ქ-ნ ვერიკო ანჯაფარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიოლეტა პაქსაშვილი



ა. არბუზოვი. „ძველმოდური კომედია". ლიდია ვასილევნა — ვიოლეტა პაქსაშვილი

მისი დები მოწყვეტილნი არიან. მოკლე ხნის ბედნიერება ადელას ძვირად უჯდება — მისი თვითმკვლელობაც ხომ პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა".

სოხუმის თეატრში ვიოლეტამ შეასრულა აგრეთვე ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორში" მარიას როლი. აქ, ამ ახალ თეატრალურ კოლექტივს, მათი თამაშის მანერას, მსახიობი ქალი მალე შეეთვისა. მისმიერ განსახიერებულ მარიას როლზე გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" 1968 წელს წერდა: „...მარია ტიუდორი რთული როლია და წინააღმდეგობებით აღსავსე. ერთ წუთში შესაძლოა მისი ხასიათი მრავალი საღებავით შეიცვალოს, ხასიათის კონტრასტები, სიყვარული თუ სიძულვილი აქ ელვისებრ იცვლება, იცვლება ადამიანის ფსიქიკა, ტემპერამენტი, იცვლება დედოფალი, ხდება მხოლოდ შეყვარებული, რომლისთვისაც სიყვარული სადედოფლო გვირგვინზედაც ძვირფასია, მაგრამ ეჭვიანობა მას ყოველივეს ავიწყებს და, იგი იქცევა გააფთრებულ ძუ ვეფხვად... მისი დედოფალი ცივი, გულგრილი და მიუკარებელია, მისი მიხრა-მოხრა მდიდარია და შთამაგონებელი. გარეგნული სახე მსახიობისა ე. წ. ფაქტურა, ჟესტი, მიმიკა შთამბეჭდავია და დასამახსოვრებელი"...

ძისგან და ბ-ნ ვასო ყუშიტაშვილისგან, რომლებიც გასაოცარ ყურადღებასა და ზრუნვას იჩენდნენ ჩემს მიმართ. ამიტომ, თუ რამ კარგია ჩემს საქმიანობაში, ეს მხოლოდ მათი წყალობით".

ვიოლეტა პარალელურად ჩაირიცხა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე (პროფ. დ. ალექსიძის ხელმძღვანელობით), მაგრამ, მოულოდნელმა ხიფათმა (ფეხი მოიტეხა), რომლის განკურნებას წლები დასჭირდა, არ მისცა საშუალება ეთამაშა მარტას როლი (სპექტაკლი „ხეები ზეზეურად კვდებიან"), რომლის პირველი შემსრულებელი მედეა ჯაფარიძე გახლდათ.

1965 წლიდან ვიოლეტა წლების განმავლობაში მუშაობდა რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრში. თეატრალური კოლექტივებისა და, შესაბამისად მაყურებლის ცვალებადობა, მას ხელს არ უშლიდა ბოლომდე გამოემჟღავნებინა ინდივიდუალობა, სცენური გულწრფელობა. ვიოლეტა ყოველთვის ანგარიშს უწევს პარტნიორს, თავად კარგად ფლობს სხეულს, მისი პლასტიკური მონახაზები ყოველთვის გრაფიკულად ზუსტია, ქალური და ნატიფი.

მახარაძის ა. წუწუნავას სახელობის თეატრში, სხვა როლებთან ერთად, ვიოლეტამ განასახიერა ესთერი (ი. ოტჩენაშეკის „რომეო და ჯულიეტა წყვდიადში"), რომელზეც გაზეთი „კომუნისტი" 1965 წელს წერდა: „... ვ. პაქსაშვილი გვხიბლავს თავისი გულწრფელობით. არავითარი „თამაში", არავითარი „ნიღაბი". იგი ქალია და იმავე დროს მომხიბვლელი და გულწრფელი"; ხოლო ნ. პერიალისის „ბაბთიან გოგონაში", სადაც იგი გოგონას როლს ასრულებდა, იმავე გაზეთის აზრით, „...მშვენიერია, აქ ახალ ფერებს პოულობს. დიდი გულწრფელობა და სიმართლის შეგრძნება აქაც ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ამ მსახიობისთვის".

კლასიკური რეპერტუარიდან ვ. პაქსაშვილმა, სოხუმის ქართულ თეატრში გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლში", ადელას როლი განასახიერა. გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია" 1970 წელს აღნიშნავდა: მსახიობი ქმნის ვნებიან და წმინდა იერსახეს, რომელიც მთლიანი არსით პირქუში სახლის კედლებიდან მიილტვის ხალხისკენ — „სიცოცხლის ჰაერისკენ", რასაც ისა და



ვს. ვიშნევსკი. „ოპტიმისტური ტრაგედია". ვ. პაქსაშვილი — კომისარი, ნ. ხიდურელი — ბოცმანი



ს.ქ. სსრ კ. მარქსის



ფ. მარსო. „ბიჭუნა“.
ირმა — ვ. პაქსაშვილი

ძნელია ჩამოთვალოთ ვიოლეტას მიერ შესრულებული ყველა სახე, მაგრამ ერთი ნათელია: ყველა თეატრში, სადაც მას უხდებოდა მუშაობა, მას მუდამ მნიშვნელოვანი, წამყვანი როლები ჰქონდა მინდობილი.

ვიოლეტა პაქსაშვილს სულ ახლახანს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, რაც პასუხისმგებლობაა უზრდის თავისი კოლექტივისა და მაყურებლის წინაშე.

ვ. პაქსაშვილი ჩვეული გულმხურვალებით განაგრძობს თბილისის ახლადგახსნილ დრამატულ თეატრში მუშაობას, სადაც მისი ერთ-ერთი პირველ ნამუშევართაგანი იყო ალაზას როლი ვ. ფშაველას მიხედვით შექმნილ ინსცენირებაში „მთანი მაღალნი“. სპექტაკლის პირველ ნახევარში მსახიობი ქალური სინატიფით, სინაზითა და პლასტიკურობით ძერწავს მორჩილი მეუღლის იერსახეს; სპექტაკლის მეორე ნახევარში კი ყველა ამ გარეგნულად მომხიბლავ მხარეს შესანიშნავად უთავსებს ფსიქოლოგიურ სიღრმეს, შინაგან დაძაბულობას, რაც მას სჭირდება თემური ყოფაცხოვრების მოძველებული ტრადიციების მიმართ პროტესტის გამოსახატავად.

ალაზას საპირისპირო სახეა კომისარი ვ. ვიშნევსკის პიესიდან „ოპტიმისტური ტრაგედია“, რომელიც თეატრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სპექტაკლად არის მიჩნეული. აქ ვ. პაქსაშვილი გვიხატავს ძლიერი ნების, ყოფისა და რწმენის მქონე, პრინციპულსა და შეურიგებელ, მტკიცე და გამბედავ კომისარს, რომელსაც ორგანულად უკავშირდება ნამდვილი ქალი (წერილის წერის დროს) მთელი თავისი შინაგანი განცდების გამოხატვითა და სინაზით. როლის ამ საინტერესო და თავისებური გადაწყვეტით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კონკურსში ვ. პაქსაშვილი კომისრის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ვ. პაქსაშვილი ასევე ოსტატობით ქმნის კომედიურ ხასიათებს, ირმას როლს ფ. მარსოს პიესიდან „ბიჭუნა“ ისეთი ხერხებითა და საშუალებებით ძერწავს, რომ თავისთავად იქმნება კომედიური სიტუაციები.

ვ. პაქსაშვილის მსახიობური ინდივიდუალობისთვის დამახასიათებელია ყოველგვარ იერსახეს შეუთავსოს ქალური სინაზე, ზეაწეულობა, ერთგვარი პოეტურობა, შესაბამისი პლასტიკა და მომხიბვლელობა, რითაც მსახიობი ცხოვრებაშიც არის დაჯილდოებული.

მარგარიტა გოგოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდის თემაზე

# ძნელადაღსაზრდელები და მშობლები

ახლა ბევრს მსჯელობენ შვილების აღზრდის საქმეში მშობლის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების, მშობლისა და მოზარდის ურთიერთდამოკიდებულების — „შენი-ჩემობის“ საკითხებზე. სკოლების მუშაობის სინამდვილეში დამკვიდრდა მამების საბჭოების ჩამოყალიბება. თვითონ ცხოვრებამ გვიკარნახა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რადგან იშვიათობად იქცა სკოლაში მამის მოსვლა. მოგეხსენებათ, დედები ემოციური ხალხნი ვართ, არაიშვიათად გულჩვილნიც, ზოგჯერ ქალური სისუსტე არ გვაძლევს იმის საშუალებას, ზემოქმედება მოვახდინოთ შვილებზე.

უყურადღებობა ჩვენს შვილებს ჯერ უბრალო ცელქებად აქცევს, ცოტა მოგვიანებით ძნელად აღსაზრდელებად, შემდეგ კი დამნაშავეებად. და როცა ასეთ ადამიანებს ეძლევათ დრო განსჯისა, ისინი თითქოს ყველას გასაგონად ამბობენ:

„ჩემს საყვარელ დედას უნდოდა კარგი ადამიანი გამოვსულიყავი, სულ მარიგებდა, ისწავლეო... მე რატომღაც გული ავიცრუე სწავლაზე და ცუდ საქმეს მივყავი ხელი. ახლა პატიმარი ვარ, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებს აქ ვატარებ, ვნანობ, ძალიან ვნანობ."

სინანულით სავსე სიტყვების მიღმა ვხედავთ გზააბნეულ, ტრავმირებულ მოზარდებს, რომლებიც მწარედ განიცდიან საკუთარ ხვედრს და ადამიანებისაგან ხსნას, შველას მოელიან...

ძნელადაღსაზრდელთა პიროვნული თვისებების შესწავლისას დავინტერესდით საკითხებით: როგორია მოზარდებისა და მშობლების ურთიერთ დამოკიდებულება, როგორ აფასებენ მოზარდები საკუთარი მშობლების ხასიათს? რას ფიქრობენ ადამიანურ ღირსებაზე? როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი თავი მშობლების როლში?

მოზარდებს შევთავაზეთ თხზულება „მე რომ დედა ვიყო", „მე რომ მამა ვიყო". ოცნებით წარმოდგენილ მათ ოჯახში სრული ჰარმონიაა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში მიღწეულია ურთიერთპატივისცემა, თანამოაზრეობა, გულახდილობა. ისინი აიდეალებენ შვილების უსაზღვროდ მოსიყვარულე, მაგრამ ამავე დროს მკაცრ, მომთხოვნ, სამართლიან, შვილების მესაიდუმლე მშობლებს.

„მე რომ დედა ვიყო ჩემს შვილებს ისე აღვზრდიდი, როგორც ჩემი მეზობელი — ქალბატონი მერი ზრდის თავის ვაჟებს. შვილები მას არაფერს უმალავენ, თავიანთ გულისნადებს უმხელენ. უფროსმა ვაჟმა დედას თავისი შეყვარებული გოგონაც კი გააცნო"...

„ჩემის აზრით, დედამ შვილი ისე უნდა აღზარდოს, რომ ნამდვილ მეგობრად, გულის მესაიდუმლედ ეგულებოდეს მთელი სიცოცხლე".

„მე რომ მამა ვიყო, შვილების მიმართ ლმობიერიც ვიქნები და მკაცრიც. არ დავუშლიდი ამხანაგებთან სიარულს, მათთან მეგობრობას, მაგრამ არც გვიანობამდე ქუჩაში უსაქმოდ ყოფნის უფლებას მივცემდი. არც ძალიან გავათამამებდი და არც ძალზედ შევზღუდავდი. მე მკაცრი, სამართლიანი, მომთხოვნი მამა ვიქნები და დარწმუნებული ვარ შვილებს ძალიან ვეყვარები".

„შვილს ყოველთვის მოვეფერები, მასთან ერთად ვივლი კინოში, თეატრში, გამოვკითხავ გაკვეთილებს, გავეხუმრები, ვეჭიდავები, ხელს გადავხვევ ჩემს შვილებს და სულ ერთად ვივლით".

მოზარდთა ფანტაზიაში ოჯახური ცხოვრება არსებულის საწინააღმდეგოდაა წარმოდგენილი: ისინი მშობლებთან ისეთ ურთიერთობას შეჰნატრიან, რასაც მოკლებულნი არიან სინამდვილეში. მართალია მოზარდები ცდილობენ თავი აარიდონ მშობლების ცხოვრების ხასიათზე, მათ ავკარგიანობაზე, დადებით და უარყოფით თვისებებზე საუბარს, მაგრამ მათდა უნებურად თხზულებებში კარგად ჩანს მშობლებთან კონფლიქტური დამოკიდებულება, ე. წ. „ხიდჩატეხილობა", უნდობლობა, ინტერესების სხვადასხვაობა, რასაც მოზარდები ვერ ეგუებიან და მტკივნეულად განიცდიან:

„ხშირად მიფიქრია: მე რომ დედა ვიყო როგორ მოვექცეოდი მეათეკლასელ შვილს, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თავისი კლასელი. დედაჩემივით გავმკაცრდებოდი და შვილს ერთი ნაბიჯის გადადგმის უფლებას არ მივცემდი? მე ასე არ მოვიქცეოდი. შევეცდებოდი გულახდილად მესაუბრა შვილთან, გამეგო, თანამეგრძნო მისთვის".

ისინი აქ, ამ იდეალურ ოჯახურ სამყაროში, გამორიცხავენ დედ-მამას შორის კონფლიქტებს, შფოთს, მშობლებისაგან გადაჭარბებულ მეთვალყურეობას, შვილების ფიზიკურ შეურაცხყოფას:

„მეყოლებოდა სამი შვილი. სამივეს პატიოსნად გავზრდიდი, მათდამი ზედმეტ მზრუნველობას არ გამოვიჩენდი. შევეცდებოდი მათი სურვილები, შეძლებისდაგვარად შემესრულებინა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გავანებივრებდი. როდესაც 15-16 წელს მიაღწევდნენ მეტ დამოუკიდებლობას მივცემდი, არ შევზღუდავდი, ხელით არ შევეხებოდი, რადგან ამ ასაკში შვილს მშობლისადმი შიში კი არა, ხათრი უნდა ამოძრავებდეს".

„მამა რომ ვიყო, მეუღლეს არ გავლანძღავ, ცუდ სიტყვებს არ ვეტყვი, შვილებთან არ დავამცირებ, ყველაზე მეტ პატივს მას ვცემ, რათა შვილებმა ძალიან შემიყვარონ (მათ ხომ დედა საკუთარ თავს ურჩევნიათ), ძალიან ცუდია, როცა დედ-მამა სულ ჩხუბობს, შვილებმა კი არ იციან რა ქნან".

შვილებთან ურთიერთობაში რომ გარკვეული ბზარია გაჩენილი, ამის დაფარვას არც მშობლები ცდილობენ. ანკეტის მეშვეობით გავიგეთ მშობელთა მოსაზრებები, და შეხედულებები შვილებთან ურთიერთობის საკითხებზე. აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა მიუხედავად ყოველდღიური კონტროლისა და მეთვალყურეობისა ვერ აღწევს სასურველ შედეგს შვილებთან ურთიერთობაში. კრიტიკულად უყურებენ საკუთარი შვილების საქციელს, არ მოსწონთ მათში ისეთი თვისებები, როგორიცაა: „სიზარმაცე", „თავნებობა", „ზედმეტი გულუბრყვილობა" „ტყუილის თქმა", „უხეშობა", „დაფარული ეშმაკობა" და სხვა.

კითხვას, — განიცდიათ თუ არა მარცხი შვილებთან ურთიერთობაში, მშობელთა 65-მა პროცენტმა გულახდილად უპასუხა:

„მოიპარა, თანაც მეზობელს მოჰპარა, ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი მარცხი".

„რამდენჯერაც შვილები არ შევამოწმე და ნდობა გამოვიჩინე, იმდენჯერ დავრჩი მოტყუებული".

„ძალიან ხშირად თავის გულისტკივილს მიმალავს".

62 პროცენტი მშობლებისა ცდილობს ოჯახის შრომითი საქმიანობის მთელი სიმძიმე საკუთარ მხრებზე გადაიტანოს, შვილები კი რაც შეიძლება გაათავისუფლოს აწ დატვირთვისაგან. შეკითხვაზე, როგორ ასწავლით შვილს შრომას, უმრავლესობამ ასე უპასუხა: „სახლში ვცდილობ ყველაფერი თავად გავაკეთო, შვილებს სწავლა შევუმსუბუქო".

„თითქმის არაფერს ვავალებ, გარდა მეცადინეობისა".

„დაამთავრებს სკოლას და შემდეგ ჩავაბამ შრომით საქმიანობაში".

„გარდა საკუთარი ტანსაცმლისა და ნივთების მოწესრიგებისა, არაფერს ვავალებ" და სხვა.

ისინი იშვიათად ეძებენ შვილებთან სულიერი დაახლოების, დამეგობრების, მათი ნდობის მოპოვების გზებს, შვილებთან ერთად საინტერესოდ ვერ იყენებენ თავისუფალ დროს, რაზეც თავად გულახდილად მიუთითებენ:

„თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება სამსახურისა და ოჯახის გამო".

„შვილებთან ერთად იშვიათად დავდივარ კინოში, თეატრში, მათ რატომღაც ურჩევნიათ უჩემოდ წავიდნენ. ვიცი, რომ ეს არ არის კარგი, მაგრამ გამოსწორება მიჭირს".

„თავისუფალ დროს შვილებთან ერთად თითქმის არსად არ დავდივარ, ვგრძნობ რომ ეს დანაშაულია".

შვილებთან ურთიერთობაში წარუმატებლობის მიზეზებს მშობლები საკუთარ თავში, საკუთარ საქციელში ხედავენ.

კითხვა:

რა მიგაჩნიათ შვილებთან ურთიერთობაში ნაკლად:

პასუხები:

„ხშირად ვკარგავ მოთმინებას"; „უმიზეზოდ გაბრაზება, თავშეუკავებლობა"; „ზედმეტად ლმობიერი ვარ"; „ზედმეტად ვანებივრებ, (რადგანაც დედისერთაა და ვცდილობ ყველა სურვილი შევუსრულო)"; „უსაფუძვლოდ ატუქსავ"; „არ ვენდობი და ვაკონტროლებ".

ანკეტური გამოკითხვის მასალების შესწავლის შემდეგ ძნელადაღსაზრდელთა მშობლებს შევთავაზეთ კონკრეტული რჩევა-დარიგებები: მშობლებსა და მოზარდებს შორის ურთიერთობაში ამოსავალი უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებულობა, ურთიერთპატივისცემა;

მშობელი უნდა ესწრაფოდეს გაუტოლდეს, უმეგობროს მოზარდს, (ოჯახურ საქმეებში ჩართვა, გაკვეთილების მომზადებაში დახმარება, გულითადი საუბარი მოზარდებისათვის საინტერესო საკითხებზე; ნახული კინო-ფილმის, წაკითხული წიგნის ირგვლივ მსჯელობა და სხვა.) იგრძნოს მისი ტკივილი, გაიზიაროს მისი შეხედულებები, მოიპოვოს მისი ნდობა.

სისტემატური მეთვალყურეობით აღზარდოს მოზარდში მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

ვფიქრობთ, ასეთი ურთიერთობა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ცრემლნარევი, სინანულით სავსე ბარათები, ავაცდინოთ მოზარდი მოსალოდნელ დანაშაულს და ნანატრი, ოცნებაში წარმოდგენილი სამყარო რეალობად ვუქციოთ.

**გულნაზი ხორგალაძე,**
**საქართველოს კომკავშირის თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავი შვილთა მრავალთა...

# ფესვები

— მთვარისა, მიხედე ბავშვებს, ნუ გაუშვებ მინდორში, დასველდებიან — მოისმა სამზადი სახლიდან ქალის ხმა.

— ნუ გეშინია დედი! — ღიმილით გაეპასუხა გოგონა დედას და დაძმებს გახედა შხაპუნა წვიმაში ბურთს რომ თამაშობდნენ. ბავშვებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყველაზე პატარა გია, რომელიც ძლივს დარბოდა და თან ბურთის დასაკუთრებას ცდილობდა. უფროსებიც თავიანთი მხრივ ცდილობდნენ გია ხშირად ყოფილიყო ბურთის მფლობელი, მათ საქციელში აშკარად სჩანდა მრავალშვილიანი ოჯახისათვის დამახასიათებელი ურთიერთსიყვარული და პატივისცემა.

გაზაფხულის წვიმაში ბავშვების ჟრიამული სიცოცხლის მეჯლისს ჰგავდა ჯიქიების ეზოში.

ჯერ 40 წლის ასაკს არ გასცილებიან მინუშა და ტრიფონ ჯიქიები, მაგრამ მათს ლამაზ კარ-მიდამოს ყვავილებივით ამშვენებს თერთმეტი ბავშვის ღიმილი.

მინუშას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გმირი დედის წოდება მიენიჭა. ეს ვერცხლისწყალივით ქალი განა მარტო გამზრდელია, იგი სანიმუშო აღმზრდელიცაა. დედამ საოცარი სიზუსტით იცის თითოეული შვილის ხასიათი და მისწრაფება, რაც მთავარია, იგი შვილებს შრომისადმი სიყვარულს აჩვევს. ამის დასტურია თუნდაც ის ტონები ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა, რასაც უფროსი ბავშვები ზაფხულის არდადეგების დროს აბარებენ ტუნგის საბჭოთა მეურნეობას. ისინი 0,5 ჰექტარ ტუნგის ახალ პლანტაციასაც უვლიან.

იმ წვიმიან დღეს დედასთან ათი შვილი იყო. მთვარისა, რომელმაც წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ლიანა და შალვა — მერვე კლასელები, თამარი და კახა — მეექვსე და მესამე კლასელები, ნანა პირველკლასელი; მამუკა, ნინო და გია საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და პატარა ზვიადი, რომელიც ჯერ აკვანში ღუღუნებს.

მთვარისას მომდევნო ლარისა თბილისში თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში სწავლობს. ხატვა ყველას უყვარს, მაგრამ განსაკუთრებულ ნიჭს ლარისას გარდა შალვა და პატარა ნანაც ამჟღავნებენ. შალვა გეგეჭკორის საბავშვო სამხატვრო სკოლაში სწავლობს, იგი მონაწილეა ბავშვთა ნახატების რაიონული თუ რესპუბლიკური გამოფენების და კონკურსების. მიღებული აქვს სიგელები, ჯილდოები. საერთოდ გეგეჭკორის მე-2 საშუალო სკოლაში და-ძმა ჯიქიებზე მხოლოდ კარგს გეტყვიან როგორც სწავლის, ისე ყოფაქცევის მხრივ.

„რა იქნება ყველა თუ არა უმრავლესობა მაინც ისე მიუდგებოდეს დედობის საკითხს, როგორც მინუშა“ — გავიფიქრე და უკვე ძლიერი წვიმის გამო აივანზე ამოკრეფილ და მარულა ფეხბურთელებივით ჩამწკრივებულ ბავშვებს გადავხედე. ამ დროს, თითქოს ჩემი ფიქრის დასრულება ისურვაო, ბავშვების ბაბუა, ნოე გამომელაპარაკა:

— ბევრი ბავშვი, შვილო, მშობლებისათვის ბევრი შრომა და ბევრი დარდია, მაგრამ უფრო მეტი სიხარულია, ოჯახის და ქვეყნის სიმაგრეა. ბედნიერი კაცი ვარ, რადგან დედისერთა ტრიფონის შემყურეს დღეს თერთმეტი შვილიშვილი მახვევია, ეს დიდი ოჯახი კი ჩემი ფესვებია მშობლიურ მიწაში მკვიდრად გასული და ახალ ნერგებად ამოყრილი, მე ეს ფესვები მამაგრებს, გულს მიხალისებს და მამღერებს.

ვიცოდი, რომ ეს ნაომარი, მეორე ჯგუფის ინვალიდი კაცი სიმღერის ტრფიალი იყო და ვკითხე:

— ბავშვებს თუ უყვართ სიმღერა?

— ყველანი ვმღერივართ.

— უფრო კი მაშინ, როცა საღამოს დაღლილები დაბრუნდებიან პლანტაციიდან. მამა ფანდურს ან ჩონგურს გამოიტანს, ესენიც მიუსხდებიან და მღერიან — მამამთილის პასუხი შეავსო მანუშამ.

— სიმღერა მიყვარს — აგრძელებს საუბარს ბაბუა — მუდამ ვმღერივარ და მეუბნებიან მუდამ რა გამღერებსო. როგორ არ ვიმღერო? აი, ამ სახლით — გვითითებს ხარაჩომიდგმულ ორსართულიან სახლზე — რამდენიმე წლის წინ თავს ვიწონებდი უბანში, დღეს კი აღარ გვყოფნის, ვერ ვეტევით,ამიტომაც ვამატებთ განში. ახალი „ჟიგულიც“ გვაქვს... ჰოდა ემღერება გულს!

დიახ, ემღერებათ და მღერიან! ერთადერთი კინკილა ბიჭის კვალობაზე თერთმეტი შვილი, ჯანსაღ ნერგებად ამოყრილი თერთმეტი ფესვი, განა პატარა საქმეა? ჯიქიების მუყაითი რძალი, გმირი დედის სახელით მოუწოდებს ქართველ ქალებს, რომ ქართული მიწის ხვავი და ფერკეთილობა ქართველთა სიმრავლეშია.

**ლეილა ლემონჯავა-ხოშტარია,**
გეგეჭკორის რაიონულ გაზეთ „შრომის დროშის“ კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ახლაც მწყობრშია

ლუბა გაბუნიას ომმა მოსკოვში მოუსწრო. მაშინ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქციაში ქართული გამოცემის კორექტორად მუშაობდა. თავისი სავალდებულო სამუშაოს გარდა, დიდ ენერგიას ახმარდა წითელი არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს დავალებების შესრულებას: ფრონტზე ქართველი მეომრებისათვის „წითელი არმიის აგიტატორის ბლოკნოტი“, სხვადასხვა ბროშურები, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებები და განკარგულებები იგზავნებოდა. ეს ლიტერატურა დიდ სტიმულს აძლევდა საბჭოთა არმიის მებრძოლებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლუბა ძლიერი ნებისყოფის, ჯანმაგარი, დაუზარელი იყო. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე, ყველაფერს ერთნაირი გულმოდგინებით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და კიდევაც უმადლიდნენ უფროსები.

აი რას წერს მისი ერთ-ერთი რედაქტორი:

„ლუბა გაბუნია ყოველ საგანგებოდ მნიშვნელოვან და საჭირო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა, მთარგმნელის, სტილისტისა და კორექტორის მოვალეობას ასრულებდა და ყოველ საქმეს უაღრესად კეთილსინდისიერად და უშეცდომოდ ეკიდებოდა.

ბევრჯერ უთქვამთ მის ყოფილ რედაქტორებს გ. ლომიძეს და შ. ჩივაძეს: ლუბა ჩვენი მარჯვენა ხელიაო, გაჭირვების ტალკვესიაო...

ლუბას ხშირად ნახავდით ჰოსპიტალში, სადაც დაჭრილ ქართველ მეომრებს პოლიტსაუბრებს უტარებდა, სხვადასხვა ლიტერატურით ამარაგებდა, ანუგეშებდა, თუ საჭირო იყო მათთვის საკუთარ სისხლსაც იღებდა.

ერთხელ ჰოსპიტალში დონორის სისხლი შემოაკლდათ. დაჭრილის გადარჩენა სათუო იყო. ლუბამ უყოყმანოდ გაიღო სისხლი და მებრძოლი მალე მომჯობინდა.

„დაო ლუბა, როგორ გიკითხოთ, წერდა ძმადნაფიცი შერმადინ გვარიშვილი, — სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგივიწყებთ, დიდხანს იცოცხლეთ, კეთილო ადამიანო!“

მადლობის წერილები ახლაც მოსდის ლუბას, მიმოწერა აქვს ომისდროინდელ მეგობრებთან. მათი დავიწყება არც შეიძლება, რადგან ერთად განვლეს ომის წლები.

— ხშირად ღამით გვიხდებოდა მუშაობა — იგონებს ლუბა, — ბავშვიან ქალებს ვცვლიდი, მათ მაგივრად ვმორიგეობდი, ჭამისათვისაც კი არ მეცალა, ხშირად დილით წამოღებული საგზალი მეორე დღემდე დამრჩენია.

ჩვენი დაწესებულება მაშინ „გუმის“ შენობის მეორე სართულზე იყო, ფანჯრები წითელ მოედანს, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს გადაჰყურებდა. მტერი ყოველთვის კრემლს უმიზნებდა. წითელი მოედანი განსაკუთრებული კაჟიანი ფილებით არის მოპირკეთებული. როცა მასზე ჭურვი ეცემოდა, დიდი ელვარების ნაპერწკლებს ისროდა. ერთხელ „გუმის“ მესამე სართულს ყუმბარა დაეცა. მთელი მინის სახურავი ჩაინგრა, მსხვერპლიც იყო. ყოველ წუთს საფრთხე ელოდა მთავრობის შენობასაც. ხშირი დაბომბვის გამო უმაღლესი საბჭოს აპარატი იძულებული იყო დროებით კუიბიშევში გადასულიყო.

ომის შემდეგ, აღდგენის მძიმე წლებშიც ლუბა მოსკოვში იმყოფებოდა, საქართველოში მხოლოდ 1952 წელს დაბრუნდა. და მას შემდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობს.

ისე უცბად წავიდა ახალგაზრდობა, რომ ვერც კი გაიგო. დაოჯახება ვერ მოასწრო, მაგრამ ბევრი მეგობარი ჰყავს, მათ უწყობს ხელს, სხვისი სიხარულით ტკბება, სხვისი ლხინი საკუთარ ლხინად გაუხდია, სხვისი ჭირი—საკუთარ ჭირად. ამაგდარი და ვალმოხდილი დღესაც დაუზარლად მუშაობს. კოლეგები კვლავ იწვევენ მივლინებით მოსკოვში სამუშაოდ. ლუბაც უარს არ ამბობს, თითქოს ფრთები ესხმება, რაღაც იდუმალი ძალა ეწევა მათკენ, გარდასული ომის წლები ახალგაზრდობას აგონებს, უხარია, — ხატოვნად რომ ვთქვათ — წარსულთან შეხვედრა, უხარია, რომ ქვეყანას ცოტათი მაინც გამოადგა. კომუნისტი ქალის ენერგია ულეველია, მისი შრომა და ცხოვრება მისაბაძია.

ნაზი ლომიძე

# ზღუდე ერისა

## წარსულიდან

მესხეთი! რაოდენი დიდება, პატივი, სიყვარული თუ ტანჯვაა შენახული ამ სახელში. წინათ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს ეს რეგიონი ყველაზე უფრო დაწინაურებული, კულტურული მხარე იყო, შემდეგ კი უკუღმა დატრიალდა ისტორიის ჩარხი. XVI საუკუნის ბოლოს ის ბარბაროსულმა ოსმალეთმა დაიპყრო და იქ მაჰმადიანობის გავრცელებას შეუდგა. მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო დავიწყებას ეძლეოდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების, ბექა და ბეშქენ ოპიზრების, სარგის თმოგველისა და შოთა რუსთაველის დიდი ნაკვალევი. ამ „კუთხის ცხოვრება — წერდა ალ. ფრონელი, — ისე დადუმდა და დაქვეითდა, რომ აღარც სარდალ-მოღვაწენი, აღარც ბრძენ-ფილოსოფოსნი და აღარც მგოსან მქადაგებელნი არღარა ჩნდებოდა ამ ქვეყანაში, ახალციხე შეიქნა სხვადასხვა ავაზაკთა ბრძოლების საბუდრად“. საუკუნოვან ბრძოლებში საქართველომ ვერ შეძლო სამცხე-საათაბაგოს კვლავ შემოერთება. ეს დიდი მისია ანდერძით გადადიოდა შვილიდან შვილზე, რომლის შესრულება მხოლოდ 1828 წ. აგვისტოში გახდა შესაძლებელი, როცა მესხეთის ანუ ახალციხის საფაშოს (როგორც მაშინ ეძახდნენ) 24 სანჯაყიდან საქართველოს შემოუერთდა ცხრა სანჯაყი.

შემოერთებულ მხარეში ძირითადად სარწმუნოებაშეცვლილი, გამაჰმადიანებული ქართველობა ცხოვრობდა. ქრისტიანი ქართველები ცოტანი იყვნენ. შეერთების დროს მთელ მესხეთში ჯერ კიდევ გაბატონებულ ენად ითვლებოდა ქართული ენა.

განაწამებმა მოსახლეობამ თითქოსდა შვება იგრძნო. ერთმორწმუნე რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ თბილი გული მიაგება გატანჯული მესხეთის ხალხს, მაგრამ მეფის მთავრობა არ აღმოჩნდა ერთგული თავისი პირობისა. იგი ცდილობდა გაეღვიძებინა შუღლი ქართველებსა და აქ გარკვეული მიზნით ჩამოსახლებულ სომხებს, ბერძნებს, ქურთებს, თარაქმებს, რუს სექტანტებს, და-



მოსწავლე როზა მეფისაშვილის ქარგულობა

ლესტნელ ლეკებს შორის. მაჰმადიან ქართველებს კი, რომელთა ძარღვებში ჯერ კიდევ ქართული სისხლი დუღდა, სულ უფრო დიდი რაოდენობით მიერეკებოდნენ თურქეთისაკენ.

არსებობის შენარჩუნებას ლამობდა მესხეთი. ქართულ ნიადაგზე დგომა, სიცოცხლე სწყუროდა მესხეთის გაწამებულ ქართველობას. მაგრამ მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ცარიზმმა ახალციხის მხარეში არ გააუქმა თურქული მმართველობის წესები და ოფიციალურ ენად სცნო თურქული ენა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ენის დაცვისათვის აღსდგა მესხეთის საზოგადოებრიობა: ივ. გვარამაძე, ვ. გამრეკელი, მ. თამარაშვილი და სხვანი.

საზოგადოებაში ძლიერდებოდა სწავლა-განათლებისა და სულიერი კულტურის ამაღლების დაუოკებელი სურვილი. გამოჩნდნენ ინიციატორები და სამცხე-საათაბაგოს ცენტრალურ ქალაქ ახალციხეში დაარსდა სკოლები, სამკითხველოები. სტამბები, თეატრალური დასები და კოოპერატიული ამხანაგობები.

1871 წლის 4 აპრილს ახალციხის ძველ ნაწილში, რაბათში, გაიხსნა ქალთა, — როგორც მაშინ ეძახდნენ, — დედათა უფასო სკოლა.

1871 წლის 30 მაისს ჩატარდა ქალთა უფასო სასწავლებლის მზრუნველი წევრების კრება. ამ სკოლის სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა ანა ღოღობერიძე-მუსხელაშვილმა საზოგადოებას გამოუცხადა, რომ „ზემოხსენებულ სასწავლებელთან უნდა დაფუძნდეს საკერავისა და სხვა ხელსაქმის სახელოსნო, იმ აზრით, რომ ღარიბ ქალებს, რომელნიც აქ ათავებენ სწავლას, მიეცეთ საშუალება თავისი შრომით ცხოვრებისა“. და დაადგინეს: „სახელოსნოს პირველ ხელმძღვანელად დაინიშნოს ანა გოპაძისა, გამოწერილ იქნას 110 მანეთიანი „საკერავის მაშინა“, ყველა ეს ხარჯი გაღებულ იქნას სასწავლებლის შემოსავლიდან“. ამ დროს წამომდგარა მოქ. მეფისაშვილი და განუცხადებია, რომ 110 მანეთს სწირავს სასწავლებელს მისი მეუღლე ანა მეფისაშვილისა.

„სკოლაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: არითმეტიკა, ქართული და რუსული, აგრეთვე ხელსაქმე — ჭრა-კერვა, ქარგვა და ქსოვა. წლების განმავლობაში უფასოდ ასწავლიდნენ გოპაძე, მესხიშვილი, ხოჯევანიშვილი, ქ. ჯუღელი, ო. ხუციშვილი, ა. ბაიბურთელი, ა. ზედგენიძე, მ. მეფისაშვილი, გამრეკელი და სხვები.

ფასდაუდებელია ამ საქმეში მუსხელაშვილის ღვაწლი. „ამისთანა გარემოებაში და ამისთანა დროს მხოლოდ უსაზღვრო სიყვარულს, ბეჯითს შრომას და ერთგულს მხნეობას შეეძლო დედათა სკოლის გამართვა და უზრუნველყოფა“, — აღნიშნავდა გაზეთი „ივერია“. სკოლა არსებობდა დღიური ნაშოვნი შემოსავლით, კერძო შეწირულებით, თვით მოსწავლეთა შესრულებულ ნაკეთობათა შემოსავლებით და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთდროული დახმარებით. ანა მუსხელაშვილი თვითონ იყო მატერიალურ საშუალებათა მომპოვებელიც და მასწავლებელიც.

სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ახალციხის უღარიბეს ფენას შეადგენდა. შემდეგ ამ სკოლის ზოგ მოსწავლეს გიმნაზია დაუმთავრებია და საუკეთესო მასწავლებელიც გამოსულა. სკოლის საქმიანობას თვალყურს ადევნებდა საქართველოს ინტელიგენცია. დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი პრესის საშუალებით კარგ შეფასებას აძლევდა ამ სასწავლებლისა და მისი ხელმძღვანელის ეროვნულ საქმიანობას. 1890 წელს 13 მაისს ანა მუსხელაშვილის გარდაცვალებამ დაამწუხრა მთელი ქართველი საზოგადოება. ანას გარდაცვალების შემდეგ სკოლის საქმიანობა უკან წასულა. ერთხანს სკოლა დაუკეტიათ კიდეც. მაგრამ მას შემდეგ, რაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მიაქცია ყურადღება, სკოლა ხელახლა გაიხსნა და მისი საქმიანობაც გაუმჯობესდა.

1902 წლის 22 ოქტომბრიდან ამ სკოლის გამგეა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი). ეს ამავე სკოლის ხაზინადარიც და მდივანიც იყო და წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა ი. გოგებაშვილთან და ი. ჭავჭავაძესთან, რომლებიც გულთბილად ეკიდებოდნენ ყოველ თხოვნას და დიდ მატერიალურ და მორალურ დახმარებას უწევდნენ სკოლას, რადგან „ეს სკოლა ერთადერთი ზღუდე იყო აქაური გამქრალი ქართველებისა“ (ფრონელი).

1916 წლის 27 მარტს სკოლას თავისი არსებობის 40 წლის იუბილე გადაუხდია, ხოლო 16 ოქტომბერს გაუხსნიათ ხალიჩებისა და სხვა ფარჩეულის საქსოვი სახელოსნო, რამაც ხელი შეუწყო მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას: სკოლა საფეიქრო შეკვეთებსაც იღებდა და ამით შემოსავალიც იზრდებოდა.

ახალციხის რაბათის ქალთა პროფესიულმა უფასო სკოლამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია აქაურ ქართველობას. მესხეთის ძველ, განთქმულ ხელოვნებას სიცოცხლე და ელფერი დაუბრუნეს დედათა სკოლის აღზრდილებმა: ნ. გიორგაძემ, რ. მეფისაშვილმა, გ. რატიევამ (რატიშვილმა) და სხვებმა.

ახალციხურ „ფილიგრანულ“ ნივთებთან ერთად, მათი „ოქრონემსული“ ნამუშევრები მრავალჯერ იქნა გატანილი მსოფლიო ხელოვნების გამოფენაზე პეტერბურგში, პარიზში, ვენაში, ლონდონში და ყველგან, დაჯილდოვდა ოქროს მედლებითა და ქების სიგელებით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქალთა სკოლა სამაზრო გლეხკომის საფეიქრო-სახელოსნო სასწავლებლად გადაკეთდა.

ნაზი სუდაძე,
სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

## — იუმორი —

### საახალწლო სიურპრიზი

საახალწლოდ ფრანც მიულერი ახალ ბინაში რომ გადავიდა, მეორე დღეს სამსახურში კოლეგებმა ჰკითხეს:

— რამდენი დაუმთავრებელი რამ აღმოაჩინე ახალ ბინაში?

— ჯერჯერობით ერთი.

— იღბალი გქონია. მაინც რა?

— შესასვლელი კარი ვერასგზით ვერ გავაღე.

### ახალმოსახლეობა

საახალწლოდ კოვაჩები ახალ ბინაში გადავიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ იანოშ კოვაჩს მეგობარი შეხვდა და ჰკითხა:

— ახალ ადგილს როგორ მიეჩვიეთ?

— ცოლი პირველად ნერვულობდა, ახლა კი თავს ჩინებულად გრძნობს — უკვე ყველა მეზობელი მოიმდურა.

### თაღლითობა

— ჩემს მეუღლეს საახალწლოდ მშვენიერი მარგალიტის ყელსაბამი ვუყიდე, — უთხრა ამერიკელმა ბიზნესმენმა მეგობარს.

— მაგრამ მას ხომ საჩუქრად ახალი მანქანა უნდოდა?!

— მერე, სად გინახავს, რომ ყალბ ავტომანქანებს ყიდდნენ?! — მიუგო მან.

### ნუგეში

საბო საახალწლოდ მეორედ დაქორწინდა. ქორწილის მერე, თავის ახალგაზრდა ცოლს უთხრა:

— საყვარელო, ახლა ჩემი ერთი დიდი ნაკლი მინდა გაგიმხილო.

— განა რა ნაკლია?

— სამწუხაროდ, ხშირად უმიზეზოდ ვეჭვიანობ.

მშვენიერმა ცოლმა მომხიბლავი ღიმილით მიუგო:

— ნუ ღელავ, ძვირფასო, ჩემს გამო უმიზეზოდ ეჭვიანობა არ მოგიწევს.

### თავაზიანობა

ახალი წლის წინა ღამით ორი ჯენტლმენი შეხვდა ერთმანეთს დიდი ქალაქის გარეუბანში.

— მომიტევეთ, სერ, ახლომახლო პოლიციელი ხომ არ დაგინახავთ?

— არა.

— გმადლობთ. მაშ, კეთილი ინებეთ და თქვენი საფულე გადმომეცით.

გერმანულიდან თარგმნა
ზ. ამირანაშვილმა.



ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

643/24